| *ინდიკატორი N 2.2.1.2* | სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე | **მიზანშეწონილია** (1.) სკოლამ შექმნას დოკუმენტი ან სასკოლო სასწავლო გეგმაში “ინკლუზიური განათლების” ქვეთავში გაწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პირობებს, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრების უფლება-მოვალეობებსა და ჯგუფის საქმიანობის პროცედურას. (2.) სკოლამ შექმნას დოკუმენტი ან სასკოლო სასწავლო გეგმაში “ინკლუზიური განათლების” ქვეთავში გაწეროს სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების, სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის პროცედურას. (3.) მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტში გაჩნდეს ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირების ან სტრუქტურული ერთეულის შესახებ ჩანაწერი. (4.) ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტში დააკონკრეტოს ინიციატივების მხარდაჭერის მიზანი/ამოცანა და დაინტერესებული პირების მიერ დაყენებული ინიციატივის თაობაზე სკოლის დირექციის მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის პროცედურა. (5.) სკოლამ შექმნას რემედიაციის პროგრამით მუშაობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის |

| | | |
|---|---|---|
| | | განხორციელების საფეხურებსა და ვადებს, პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია- მოვალეობებს. |
| *ინდიკატორი N 2.2.1.3* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **მათემატიკა: მიზანშეწონილია,** თითოეული თემა შეფასდეს თემის შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით, აქცენტი გაკეთდეს მოსწავლეთა თვითშეფასებაზე |
| *ინდიკატორი N 2.2.1.4* | სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი | **მიზანშეწონილია** 1. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტით განისაზღვროს შერჩევის სტრატეგია (მაგ. გენდერული გადანაწილება, მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომების თანაფარდობა, შერჩევის შემთხვევითობა, კლასის საერთო რაოდენობის ნაშრომების რამდენი პროცენტი გამოიყენება ვერიფიკაციისთვის ან სხვა).<br>(2.) ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არანაკლებ 3 წლის ვადით სათანადო აღრიცხვისა და შენახვის თაობაზე.<br>(3.) მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთი საკითხი შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განვითარება იქნება (მაგ. საგნებში, სადაც სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს „მეგობარი“ სკოლის მასწავლებელი) |
| *ინდიკატორი N 2.2.2.2* | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | **მუსიკა:** მიზანშეწონილია, კურიკულუმებში ჩაშენებული იყოს სამინისტროს მიერ შექმნილი მასალების ბმულები. |
| *ინდიკატორი N 2.3.1.1* | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად | **მიზანშეწონილია,** ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში სისტემურად მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. |
| *ინდიკატორი N 2.3.1.2* | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას | **მიზანშეწონილია** 1. კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები);<br>2. მშობელთა კმაყოფილების კვლევის პროცესში, კითხვარი დაიყოს სასკოლო ცხოვრების შესაბამის სფეროებად (მაგ. სასწავლო პროცესი და მეთოდოლოგია, უსაფრთხოება და სასკოლო კლიმატი, უკუკავშირი და |

| | | |
|---|---|---|
| | | კომუნიკაცია) და გამოიყენოს ღია კითხვები, რათა მონიტორინგმა მეტად გამოავლინოს პრობლემის მოგვარების გზები. |
| *ინდიკატორი N 2.3.1.3* | მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას | **მიზანშეწონილია,** მოსწავლეთა სოციო-ემოციური სფეროს კვლევას მიეცეს სისტემური ხასიათი, სადაც კითხვარის ფორმატში აქცენტი გაკეთდება ღია კითხვებზე (თვითგამოხატვა, პოზიტიური გამოცდილება, ინიციატივები) და შედეგები აისახება სადამრიგებლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში. |
| *ინდიკატორი N 2.3.2.1* | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს | **მიზანშეწონილია,** სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და წინსვლის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრისაგან (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები). |
| *ინდიკატორი N 2.4.1.1* | იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი | **მიზანშეწონილია,** მისთვის მისაღები ფორმით, შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლიც დაეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრაქტიკას, შიდა წარმატებულ გამოცდილებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნები და რჩევები (წერილი #MES 0 26 0000398386 02/04/2026), ამის საფუძველზე შეადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ახალი გეგმა.

1. ვიზიტის დროს სკოლას ერთადერთ სასწავლო კორპუსში (პირველ სართულზე, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი) არ ჰქონდა საკმარისი საკლასო ოთახი სკოლის მიერ მოთხოვნილი 60 მოსწავლისა და პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით

ყველა კლასის არსებობის პირობებში. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის განახლებული გეგმა, რომელშიც გაითვალისწინა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, კერძოდ: 1. სკოლის მე-2 სართულზე სამი საკლასო ოთახის განსაზღვრა. 2. განსაზღვრულ სამი საკლასო ოთახის გარემონტება და შესაბამისი სასწავლო ინვენტარით აღჭურვა. (სკოლას დასაწყობებული აქვს საკმარისი სასწავლო ინვენტარი საკლასო ოთახების აღსაჭურვად). აქტივობის დასრულების თარიღად სკოლამ განსაზღვრა 2028 წლის მარტი.

სკოლა წერილში აღნიშნავს, ფინანსურად მდგრადია, ანგარიშზე ნაშთის სახით აქვს საკმარისი თანხა, რომ 2028 წლის მარტამდე სკოლის მეორე სართულზე, სამ საკლასო ოთახს ჩაუტარდეს კოსმეტიკური რემონტი, რადგან გარე ფასადიც მოწყობილია, ჩასმულია ალუმინის მეტალო ფანჯრები, სკოლისათვის ამ პრობლემის მოგვარება გამარტივდება, **ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტებმა ინდიკატორი შეაფასეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“.**

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

**სკოლას შემუშავებული აქვე სკოლის ფილოსოფია - მისია, ხედვა და ღირებულებები 2024-2031 წლებისათვის. ფილოსოფია დამტკიცებულია პედსაბჭოს სხდომაზე - ოქმი #6 17 ივნისი, 2024 წელი. ასევე შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან - სხდომის ოქმი #6 14 ივნისი, 2024 წელი.**

**სკოლის მისიაში აქცენტი გაკეთებულია** - განათლების ხარისხის მუდმივ ამაღლებასა და განახლებაზე;; უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე; მოსწავლეთა ჩართვაზე არაფორმალურ განათლებაში; ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება-დაცვაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ასევე ტრადიციების დამცველი, ქვეყნის წარმატებისათვის მებრძოლი პიროვნებების - ლიდერების აღზრდაზე.

**სკოლის ხედვაში აქცენტი გაკეთებულია** - 2031 წლისათვის კონკურენტუნარიანი გარემოს მქონე, ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო პირობების შექმნაზე, მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე უწყვეტად ზრუნვაზე, არაფორმალური განათლებისა და სპორტული აქტივობების ხელშემწყობ გარემოზე.

**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

გაცხადებული მისიისა და ხედვის შინაარსით სკოლა მოიაზრებს საკუთარ როლს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. სკოლა უზრუნველყოფს, როგორც ფიზიკური

უსაფრთხოებას, ასევე ემოციურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ერთ-ერთი პრიორიტეტია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის უსაფრთხო გარემოს ორგანიზება. სკოლაში შექმნილია გარემო, რომელიც ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: **2025-2026 ს/წ სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი „ერთად მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“,** რომელიც ემსახურებოდა სამშვიდობო პროცესებისა და გლობალური მოქალაქეობის იდეების გააზრებას. პროექტი განხორციელდა ინტერდისციპლინური მიდგომით, მასში მონაწილეობდნენ გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლები.

1. **მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სიმულაციურ თამაშში „ნაბიჯი წინ“,** რომლის პროცესშიც მათ პრაქტიკულად შეიგრძნეს სოციალური უთანასწორობის, არათანაბარი შესაძლებლობებისა და სტერეოტიპული დამოკიდებულებების შედეგები. 2. **მოსწავლეებმა ნახეს ანიმაცია - ,,ინდიფერენტული კაცი“**, გაანალიზეს და იმსჯელეს მასში არსებულ საკითხებსა და შედეგებზე, შექმნეს პოსტერი. 3. **მოსწავლეებმა ნახეს და გაანალიზეს ორი ვიდეო-რგოლი საქართველოში** მცხოვრებ ეთნიკურად განსხვავებულ პიროვნებებზე. იმსჯელეს მათ ცხოვრებისეულ სირთულეებსა და გამოწვევებზე, რასაც განიცდიან ქართულ რეალობაში და დასახეს მიზეზ-შედეგობრივი პრობლემის გადაჭრის გზები. ამ აქტივობებით მოსწავლეები გაეცნენ სხვადასხვა კულტურას, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეებში ტოლერანტულო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას სხვადასხვა კულტურის მიმართ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის დირექტორის ბრძანებით **შეიქმნა სამუშაო ჯგუფი - ბრძანება #07 26 აპრილი, 2024 წელი „სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშვებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.** ჯგუფში შდიოდა 5 წევრი - მათ შორის მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. ჯგუფს დაევალა 2024 წლის 3 ივნისადმდე სკოლის ფილოსოფიის შემუშავება. ჯგუფმა უზრუნველყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. დოკუმენტების შემუშავებამდე სკოლაში ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სპეციალური კითხვარებით, რითაც დადგინდა სკოლის საჭიროებები. სამუშაო ჯგუფმა გამოიკვლია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და უზრუნველყო პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა. კითხვარების ანალიზისა და SWOT ანალიზის საფუძველზე მომზადდა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

სკოლამ წარმოადგინა **სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1, 29 მაისი 2024 წელი.** სკოლამ ასევე წარმოადგინა გამოკითხვის დამადასტურებელი მასალები (კითხვარები, ფორმსის ფორმატში გაკეთებული კითხვარის ანალიზი). ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს გაეუსაუბრა სამუშაო ჯგუფის წევრებს.
სკოლამ წარმოადგინა ფილოსოსფიის შემუშავების პროცესში შეხვედრებში მონაწილე მასწავლებელთა უკუკავშირების შვსებული ფორმები.
დოკუმენტაციის შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ფილოსოფიის შემუშვების პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფია გაწერილია 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე მისია და ხედვა განთავსებულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას (სკოლის ცენტრალურ ფოიეში). ფილოსოფიის გაზიარება მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე და მშობელთა კრებებზე. სკოლაში სპეციალურად შექმნილია ონლაინ-ჯგუფები, სადაც გაწევრიანებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები, რითაც ხელი ეწყობა სკოლის ღირებულებების პოპულარიზაციას. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გაფართოებული კრების ოქმი #1 16 სექტემბერი 2024 წელი, საიდანაც ჩანს, რომ დირექტორი შეხვდა მშობლებს და გააცნო მათ სკოლის ფილოსოფია.
გაზიარების გზების შერჩეული მექანიზმები აღწერილია შესაბამისი მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე, გარდა ამისა, დამატებით წარმოდგენილი აქვს სკოლის სოციალურ ქსელში და დაწესებულების შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე (ცენტრალურ ფოიეში).
საჯაროობის შერჩეული მექანიზმები აღწერილია შესაბამისი მეთოდოლოგიის დოკუმენტში.
სკოლის აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია - **დირექტორის ბრძანება #06 25 აპრილი** 2024 წელი „ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

ვიზიტის დროს სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა საჯარო რეესტრის ამონაწერი - მომზადების თარიღი 23.07.2025წ. ამონაწერში მოსარგებლედ მითითებული იყო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლა. სკოლის მისამართში მითითებულია - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ლიხეთი მე-11 ქუჩა #6. აღნიშნული სკოლის დასახელებასთან დაკავშირებული უზუსტობა სკოლამ აღმოფხვრა ვიზიტის პერიოდშივე - წარმოადგინა საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი - მომზადების თარიღი 05 მარტი 2026 წელი. სადაც მოსარგებლე პირად სკოლის დასახელება მითითებულია სწორად - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლა.

**სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - 05 მარტი 2026 წელი
- დირექტორის მშობლებთან შეხვედრის ოქმი
- კითხვარი - სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის
- მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი - ფილოსოფიის დამტკიცების შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - ფილოსოფიის პროექტის შთანხმების შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების დამტკიცების შესახებ
- სამუშაო  ჯგუფის ოქმი #1 - ფილოსოფიის პროექტის შემუშავების შესახებ.
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #2 - სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმის პროექტებზე
- 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031 წწ.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი

- სასწავლო პროექტი - ანგარიში სამოქალაქო განათლებაში
- მიმდინარე სასკოლო პროექტის ანგარიში
- ლიტერატურული კლუბის სამუშაოს ანგარიში
- ლიტერატურული კლუბის - „მხატვრული სივრცე“ სამუშაო გეგმა
- მორიგე მასწავლებლების განრიგი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

## 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია - **დირექტორის ბრძანება #06 25 აპრილი 2024 წელი** „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავებულია 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა.

**მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს** ინფორმაციის შეგროვება-ანალიზს, დაგეგმვას, გეგმების შემუშავებას, შეფასებას და მონიტორინგს. დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის დაწყების წინ სამუშაო ჯგუფის შექმნას დირექტორის

ბრძანებით. სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისაგან ინფორმაციის შეგროვებას შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ. ასევე გათვალისწინებულია შიდა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება და ანალიზი. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გათვალისწინებულია სიტუაციის ანალიზი (შიდა და გარე ფაქტორები). მაგ. SWOT ანალიზი - მოცემულია სტრატეგიულ გეგმაში. შეგროვებულ ინფორმაციასა და ანალიზში გათვალისწინებულია გასულ წელს დასახული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხის აღწერა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კითხვარში მოცემული იყო იმ დროისათვის მოქმედი სკოლის მისია და დასმული იყო კითხვა - ეთანხემოდნენ თუ არა მას გამოკითხულები. ასევე იყო კითხვა-შეთავაზება - თუ არ ეთანხმებით ან ნაწილობრივ ეთანხმებით, მიუთითეთ რის შეცვლას ისურვებდით სკოლის მისიაში.

სკოლამ წარმოადგინა კითხვარი, რომელიც გამოყენებული იყო გარკვეული სახის ინფორმაციის მოსაგროვებლად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულის გარდა, სკოლამ წარმოადგინა სხვა სახის კითხვარები მოსწავლეებთან და მშობლებთან, სადაც დასმულია კითხვები სასკოლო ცხოვრების სხვა მიმართულებებზეც. თუმცა ეს კითხვარი სრულად არ მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელზეც საუბარია SWOT ანალიზში - კითხვარი ვერ იძლევა სკოლის შიდა და გარე პროცესების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: მიზანშეწონილია, სტრატეგიული დაგეგმვის დროს სკოლას შედგენილი ჰქონდეს ისეთი კომპლექსური კითხვარი, სადაც კითხვები მიმართული იქნება სასკოლო ცხოვრების ყველა მიმართულებასა და პროცესზე, რაც სკოლას საშუალებას მისცემს მოაგროვოს სრულყოფილი ინფორმაცია სკოლის შიდა და გარე პროცესების შესახებ.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

**სკოლას შემუშვებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2024-20231 წწ. გეგმა განხილულია პედსაბჭოს სხდომაზე ოქმი #6 17 ივნისი 2024 წელი. დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - ოქმი #7 21 ივნისი 2024 წელი.**

სტრატეგიულ გეგმაში (თავში) სკოლას მითითებული აქვს - **სტრატეგიული მიზნები:** 1. აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება. 2. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. 3. სასკოლო საზოგადოების გააქტიურება.

**სტრატეგიულ გეგმაში გამოყოფილია სკოლის 3 სტრატეგიული მიმართულება:**

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და ადამიანური რესურსის განვითარება.
2. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. - #2 მიზანი გამომდინარეობს SWOT ანალიზიდან - სასკოლო ცხოვრებაში დაბალია საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა ჩართულობა.
3. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. - #3 მიზანი გამომდინარეობს SWOT ანალიზიდან - სკოლის დამატებითი სერვისების სიმწირე.

გეგმაში, როგორც წესი, გაწერილია თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევაც. კერძოდ, სკოლის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, მე-3 სტრატეგიული მიზანია - მოსწავლეთა მხარდაჭერა და ორგანიზაციული განვითარება. მიზნის მისაღწევ ამოცანებში მოსწავლეთა მხარდამჭერ ღონისძიებებთან ერთად მითითებულია სკოლის მომზადება ავტორიზაციის პროცესისათვის. ეს ორი ამოცანა - მოსწავლეთა მხარდაჭერა და იმავდროულად სკოლის მომზადება ავტორიზაციისათვის შეუთავსებელია ერთ მიზანში. სკოლის მომზადება ავტორიზაციისათვის ვერ ჩაითვლება სტრატეგიული მიზნის (მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება) შესაბამის ამოცანად. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება ორი განსხვავებული მიმართულებაა.
**სტრატეგიული მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან, კერძოდ: სკოლის მისიაა** - უზრუნველყოს განათლების ხარისხის მუდმივი ამაღლება და განახლება; უსაფრთხო, პოზიტიური და სწავლისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. მოსწავლეთა ჩართვა არაფორმალურ განათლებაში. სკოლის მიზანია აღზარდოს დემოკრატიული ღირებულებების მქონე, შემოქმედებითად მოაზროვნე, ტრადიციების დამცველ, ქვეყნის წარმატებისათვის მებრძოლი პიროვნებები (ლიდერები).

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლამ სტრატეგიულ დაგეგმარებაზე და სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე მუშაობა დაიწყო 2024 წლიდან, მას შემდეგ რაც სკოლის დირექტორის განცხადებით, მან გაიარა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგების კურსი, რომლის საშუალებითაც ზუსტი ინფორმაცია მიიღო ავტორიზაციის მოსამზადებლად სკოლის მიერ გასატარებელი მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ სტრატეგიული გეგმის შედგენისას კონკრეტული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანების გაწერის დროს ერთად არ მოაქციოს განსხვავებული ტიპის ამოცანები მაგ. როგორიცაა მოსწავლეთა უფლებების დაცვა და სკოლის მომზადება ავტორიზაციის პროცესისათვის.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

**სკოლას შემუშავებული ქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-20026 ს/წ.** გეგმა განხილულია პედსაბჭო სხდომაზე - ოქმი #6 8 სექტემბერი 2025 წელი, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე #7 15 სექტემბერი 2025 წელი. სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის სკოლამ შექმნა **სამუშაო ჯგუფი - დირექტორის ბრძანება #27 1 სექტემბერი** 2025 წელი „სამოქმედო გეგმის შემუშვების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. სკოლამ წარმოადგინა **სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 8 სექტემბერი 2025 წელი** - საკითხი სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება.

**სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას** - ორიენტირებულია სტრატეგიულ მიზნებზე, ერთწლიან გეგმაში გაწერილი აქტივობები ემსახურება ამოცანების შესრულებას და მიზნების მიღწევას.

**სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა დოკუმენტის სახით.** მაგ.: სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს** - 2024 წლის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ანგარიში შეეხება: სტატისტიკას, ადმინისტრაციულ საკითხებს - სახელმძღვანელოები, სასკოლო გეგმის შემუშავება და სხვა, დამრიგებლების საქმიანობას, სასწავლო პროცესი მიმდინარეობას, კლუბების საქმიანობა, მოსწ. თვითმმართველობის არჩევნებს საბაზო საფეხურზე და თვითმმართველობის ღონისძიებებს, პროფ-ორიენტაციის საკითხებს, სანიტარული და სამედიცინო უსაფრთხოების საკითხებს და სხვა. ასევე სკოლამ წარმოადგინა **2024-2025 ს/წ სკოლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის დოკუმენტი.** ასევე სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების ანგარიში - **დირექტორის ანგარიში მრჩეველთა საბჭოსადმი - მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #4 19 ივნისი 2025 წელი,** საკითხი: სკოლის დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2024-2025 ს/წ განმავლობაში სკოლის ტერიტორირიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით“. **ყოველწლიური თვითშეფასებისათვის ასევე გამოიყენება კლასის დამრიგებლების ანგარიშები.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

**სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები თანხვედრაშია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზანთან;** დასახული ამოცანები არ ეწინააღმდეგება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; სამოქმედო გეგმაში მოცემულია ამოცანის

მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები. მოცემულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები - ინდიკატორებით განისაზღვრება ნამდვილად შესრულდა თუ არა სკოლის მიერ გაწერილი აქტივობები. ინდიკატორი უნდა იყოს გაზომვადი. ასევე მოცემულია ვადები, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა. ვადები წარმოდგენილი უნდა იყოს თვეების მიხედვით და გათვლილი უნდა იყოს მაქსიმალურად რეალისტურად.

სამოქმედო გეგმა გაწერილია ერთწლიან პერიოდზე. მითითებულია პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები (ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი; ფინანსური რესურსი).

თუმცა გეგმით გაწერილი **ზოგიერთი აქტივობა ზოგადი ხასიათისაა და აქტივობის შინაარსი საჭიროებს დაკონკრეტებას.** მაგ. სკოლის ამოცანაა ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვა, შესაბამის აქტივობებში კი წერია - მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება. **არ ჩანს - კონკრეტულად რა სახის პროგრამებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს.**

**კიდევ ერთი** - სკოლის ამოცანაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა - შესაბამისი აქტივობაა - შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა. **ეს აქტივობა უფრო შაბლონურია და არ ჩანს აქტივობის კონკრეტული შინაარსი, შეთავაზებული პროექტების შინაარსი.** მაგ. შედარებისათვის ერთ-ერთ აქტივობად მითითებულია დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, რაც კონკრეტული აქტივობაა, ასევე კონკრეტული აქტივობაა პერიოდული გამოკითხვების ჩატარება, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა. ინდიკატორის მოთხოვნაა აქტივობებში მოცემული იყოს უფრო კონკრეტული ქმედებები.

**რჩევა: მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები მოცემული იყოს კონკრეტული ნაბიჯების სახით, რომლებიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ პერიოდში და ეს აქტივობები ასახავდეს ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ უფრო კონკრეტულ ქმედებებს.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2024-2025 ს/წ ერთწლიანი გეგმის შესრულების მონიტორინგი
- 2024-2025 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2025-2026 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2025-2026 ს/წ I სემესტრის ბოლოს მონიტორინგი
- 2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმი
- სამუშაო ჯგუფის ბრძანება 2024 - სტრატეგიულ გეგმაზე

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მეთოდოლოგიის დოკუმენტის **#11 მუხლით** გათვალისწინებულია სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი, რაც ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების **მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო.** მონიტორინგისათვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. ს/წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

**სკოლის მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე (სულ 15 მოსწავლე)** მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და შეფასება ხორციელდება ისევ სამეურვეო საბჭოს მიერ. თუმცა დოკუმენტში ცალ-ცალკე მკაფიოდ არ არის გამიჯნული მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები, მკაფიოდ არ ჩანს ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, როგორ ხორციელდება რეაგირება შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის მიხედვით 2024-2025 ს/წ ორჯერ განახორციელა მონიტორინგის ჯგუფმა (სამეურვეო საბჭომ). 2025-2026 ს/წ კი პირველი სემესტრის ბოლოს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში განხილულია სამეურვეო საბჭოზე, შედეგები გაითვალისწინა 2025-2026 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე შექმნილმა სამოქმედო ჯგუფმა.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ I სემესტრის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგის დოკუმენტი (დოკუმენტში მითითებულია მაგ. ნაწილობრივ შესრულდა - დიფერენცირებული სწავლება, შეფასების ვერიფიკაცია, სასწავლო პროცესის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება, მშობლების მონაწილეობით ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება). ასევე სკოლამ წარმოადგინა **სამეურვეო საბჭოს ოქმი #3 19 ივნისი 2025 წელი,** რომელზეც განსახილველი საკითხია 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. **სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი I სემესტრის მდგომარეობით.** ანგარიში მოიცავს ინფორმაციას შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების შესახებ. **აღნიშნული მასალების ანალიზი გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ, რომ სკოლა სწორად ხედავს სტრატეგიული დაგეგმარების და გეგმების შესრულების მონიტირონგის პროცესებს და მიუხედავად ადამიანური რესურსის სიმწირისა, ცდილობს მონახოს გზები პროცესების კანონმდებლობის შესაბამისად განსახორციელებლად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის დოკუმენტში არსად ჩანს რატომ ვერ განხორციელდა ესა თუ ის აქტივობა, რამ შეუშალა ხელი მის განხორცილებას ან რა იგეგმება სამომავლოდ ამ მიმართულებით. ანგარიშში ასევე არ იკითხება კონკრეტულად რა სახის პროექტები თუ ღონისძიებები იყო დაგეგმილი და რა ვერ განხორციელდა კონკრეტულად. მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული აქტივობა ვერ განახორციელა სკოლამ და რამ შეუშალა ხელი ამაში, ასევე რას გეგმავს სკოლა სამომავლოდ განუხორციელებელი აქტივობის კუთხით.**

### 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების** საჯაროობის უზრუნველყოფისათვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდზე მათი გამოქვეყნების გზას. სამოქმედო გეგმის შედეგები გასაჯაროებულია - ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება სკოლის მიერ ჩატარებული SWOT ანალიზით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშით, სამუშაო ჯგუფის ოქმით, რომელშიც გაანალიზებულია მონიტორინგის შედეგები და ასახულია ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი საკითხები. გასული წლის სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზი გათვალისწინებული და გაწერილია 2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ან მისი შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ არის დოკუმენტურად ასახული, რადგან სტრატეგიული გეგმის შედეგების ანალიზი სკოლამ მეთოდოლოგიის მიხედვით უნდა განახორციელოს 3 წლის შემდეგ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- 2024-2025 ს/წ ერთწლიანი გეგმის შესრულების მონიტორინგი
- სკოლის ვებ-გვერდი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის **სტრუქტურის სქემა - ორგანოგრამა,** რომლითაც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები. სტრუქტურის სქემა სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც ასევე **აღწერილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების ანგარიშვალდებულება და ფუნქციები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - დირექტორის ბრძანება #75 18 დეკემბერი 2025 წელი - „ლიხეთის საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ“.** დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე **დასაქმებული პირების ფუნქციები.** ასევე სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის ბრძანება #64 - 15 ნოემბერი 2024 წელი „ლიხეთის საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“.**
**სამუშაო აღწერილობები:** დანართი #1 - ბუღალტრის ფუნქცია-მოვალეობები; დანართი #2 - საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობები; დანართი #3 - ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები; დანართი #4 - დარაჯის ფუნქცია-მოვალეობები; დანართი #5 - დამლაგებლის ფუნქცია-მოვალეობები.
სკოლის პერსონალთან გაფორმებელია **შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრული სამუშაოს ფუქციები** შეესაბამება ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის შინაარსს.

**სკოლის სტრუქტურული ერთეულებია:** სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი.
**1. დირექცია - შედგება სკოლის დირექტორისა და ბურალტრისაგან. ადმინისტრაცია შედგება - საქმისმწარმოებლისაგან.** სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლების სამინისტროსთან საშტატო განრიგი.
**2. პედაგოგიურ საბჭოში შედის - 15 მასწავლებელი.** ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი წარმოდგენილია 6 პირით - ერთი ექთანი, ერთი ცეცხლფარეში, 2 დარაჯი და 2 დამლაგებელი.
**3. სამეურვეო საბჭო შედგება 5 წევრისაგან - (3 მასწავლებელი და 2 მშობელი)-** სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამაბელი ოქმი 14.07.2025წ. ასევე „სამეურვეო საბჭოს არცევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ განკარგულება“ 14.07.2025წ.
**4. მოსწავლეთა თვითმმართველობა** არჩეულია - დირექტორის **ბრძანება #49 7 ოქტომბერი 2025 წელი -** საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებალად. მე-7-8-9 კლასებიდან - საბაზოს თავმჯდომარე არჩეულია და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია - 3 ბავშვი მე-10 კლასიდან (სადაც სულ 5 მოსწავლე სწავლობს). სკოლამ

წარმოადგინა **თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი #1 17 ოქტომბერი 2025 წელი.** სკოლას შემუშავებული აქვს **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება** - დირექტორის ბრძანება #48 7 ოქტომბერი 2025 წელი.

**5. დისციპლინური კომიტეტი შექმნილია - სამეურვეო საბჭოს ოქმი #5 20 ოქტომბერი 2025 წელი -** დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ. **დისციპლინური კომიტეტის ოქმი #1 24 ოქტომბერი 2025 წელი** - თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ.

**6. სკოლაში ფუნქციონირებს - მრჩეველთა საბჭო - დირექტორის ბრძანება #7 28 თებერვალი 2019 წელი. ასევე ბრძანება #60 30 ოქტომბერი 2025 წელი - 2019 წლის 28 თებერვლის „მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ" #7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

**7. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები - 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 3 საგნობრივი კათედრა:** 1. ქართულის, უცხოური ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების; 2. მათემატიკის და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; 3. დაწყებითი (I-IV) კლასების, ესთეტიკური და სპორტული აღზრდის.

**8. კლასის დამრიგებლის ფუნქციები გაწერილია -** სკოლის **დირექტორის ბრძანება #42 15.09.2025წ.** „კლასის დამრიგებელთა განსაზღვრისა და დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების შესახებ". I-V კლასების დამრიგებელი, II – III კლასების დამრიგებელი, VI კლასის დამრიგებელი, VIII-X კლასების დამრიგებელი, IX კლასის დამრიგებელი. **სკოლამ წარმოადგინა დანართი #1 - დამრიგებელების ფუნქცია-მოვალეობები 2025-2026 ს/წ.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ დოკუმენტებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. **სკოლამ წარმოადგინა** დირექტორის ბრძანება #75 18 დეკემბერი 2025 წელი - „ლიხეთის საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ". ასევე სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება

#64 - 15 ნოემბერი 2024 წელი „ლიხეთის საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. სკოლამ ასევე წარმოადგინა **კათედრისა და დამრიგებლის დებულებები, მორიგე მასწავლებლების განრიგი.**

**დირექტორის ბრძანებებით დელეგირებულია უფლებამოსილებები ცალკეულ დასაქმებულებზე** (მაგ: ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და სხვა). **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება,** ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები **ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და** ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას - მიუხედავად მწირი ადამიანური რესურსებისა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სხვა სოფლებიდან მოდის რამდენიმე მასწავლებელი და დაყვება მოსწავლეთა ტრანსპორტს ან/და სკოლის თანამშრომლებს კერძო ავტომობილით, სკოლა ახერხებს ფუნქცია-მოვალეობების ისე გადანაწილებას, რომ გამართული სასწავლო პროცესი ჰქონდეს და მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

**სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორცილებაზე მითითებული პასუხისმგებელი პირებიც** მიანიშნებს იმას, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან ექპერტების გასაუბრების დროსაც.

**სკოლამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები დასაქმებულ პირებთან:**

ხელშეკრულება ბუღალტერთან 15.09.2025წ. ხელშეკრულება დამლაგებელთან -15.09. 2025 წ. ხელშეკრულება დარაჯთან 15.09. 2025წ. შეთავსებული აქვს ცეცხლფარეშის მოვალეობაც; ხელშეკრულება ექთანთან #20 25 ნოემბერი 2025 წელი; ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან -15.09.2025წ. ხელშეკრულება მოწვეულ მასწავლებელთან 15.09. 2025წ., ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან 15.09.2025წ. ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან 15.09.2025წ.

**სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები ფუნქცია-მოვალეობების განაწილების შესახებ:**

- ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #47 18 სექტემბერი 2025 წელი.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ისტორიის მასწავლებელი.
- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები - დირექტორის ბრძანება #18 5 მარტი 2026 წელი.

- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #59 21 ნოემბერი 2019 წელი (ისტორიის მასწავლებელი).
- ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #70 17.12.2025წ.
- სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #23 18 აგვისტო 2025 წელი
- დამრიგებელთა ფუნქცია-მოვალეობები 2025-2026 ს/წ - დირექტორის ბრძანება # 42 15.09.2025წ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **ხელშეკრულებები** - ბუღალტერთან, საქმისმწარმოებელთან, უფროს და წამყვან მასწავლებელთან.
- ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #47 18 სექტემბერი 2025 წელი.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ისტორიის მასწავლებელი.
- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები - დირექტორის ბრძანება #18 5 მარტი 2026 წელი.
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ - ისტორიის მასწავლებელი - ბრძანება #59 21 ნოემბერი 2019 წელი.
- ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #70 17.12.2025წ.
- სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ - ბრძანება #23 18 აგვისტო 2025 წელი
- დამრიგებელთა ფუნქცია-მოვალეობები 2025-2026 ს/წ - დირექტორის ბრძანება # 42 15.09.2025წ.
- სერტიფიკატი - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური - უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-მოდულის წარმატებით დაძლევის შესახებ 05.11.2019წ.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი **პერსონალის მართვის პროცესების აღმწერი დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ - დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 17.06.2024წ.** დოკუმენტში აღწერილია შემდეგი: მუხლი 10 - კადრების მოზიდვა და შერჩევა, მუხლი 11 - მასწავლებლის შერჩევა, მუხლი 12 - კონკურსის გამოცხადება, მუხლი 13 - კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, მუხლი 16 - საპრეტენზიო კომისია, მუხლი 17 - პერსონალის კვალიფიკაცია - **პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები - ბრძანება #53 27.10.2025წ. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ,** მუხლი 18 - ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, მუხლი 19 - შესრულებული სამუშაოს შეფასება, მუხლი 20 - ტანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. მუხლი 21 - თანამშრომელთა მოტივაცია, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

**სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - შინაგანაწესი - რომელშიც აღწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელი პროცესები:**

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;

ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

დ) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ე) შრომის პირობების დაცვის წესები;

ვ) წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები;

ზ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

სკოლას პერსონალთან გაფორმებული აქვს **ინდივიდუალური ხელშეკრულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს თანამშრომლის პირადი საქმეები** - პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი შეესაბამება მოქმედ და სკოლის კანონმდებლობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერიოდულად ადგენს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებსა და შეიმუშავებს მათზე რეაგირების პოლიტიკას. **სკოლაში მოსალოდნელი რისკებია** კონკრეტული მასწავლებლის გამოუცხადებლობა სამსახურში

ან/და ჯანმრთელობის რეაბილიტაციის პროცესის გახანგრძლივება, რის გამოც, შესაძლოა, შეფერხდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. პროცესი სკოლას დარეგულირებული აქვს შემდეგნაირად: გამომდინარე სკოლის სპეციფიკიდან (სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მდებარეობს ვიწრო მიუვალ ხეობაში) მსგავს შემთხვევაში ხდება საგაკვეთილო გადანაცვლება - კლასში გაკვეთილს დირექტორთან შეთანხმებით ატარებს სხვა საგნის მასწავლებელი, გამცდენი მასწავლებელი კი თავის კუთვნილ გაკვეთილებს ანაზღაურებს სკოლაში გამოცხადების დღეს. ამისათვის სკოლა აწარმოებს ჩანაცვლებული მასწავლებლების ჟურნალს - **სკოლამ წარმოადგინა ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი 2025-2026 ს/წ.** წინასწარ თუ აცნობებს მასწავლებელი სკოლას გაცდენის აუცილებლობის შესახებ, ამ შემთხვევაშიც ხდება გაკვეთილის გადანაცვლება. ბიულეტენის შემთხვევაში სკოლა ანაზღაურებს საავადმყოფო ფურცელზე გასული მასწავლებლის სახელფასო სარგოს. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები საავადმყოფო ფურცელზე გასული მასწავლებლის სახელფასო ანაზღაურების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

**სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი,** სადაც გაწერილია პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები. სკოლა პერსონალის შერჩევისა და დასაქმებისას ხელმძღვანელობს თავისივე გაწერილი რეგულაციისა და კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს ოქმი 17.06.2024წ. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

**სკოლას გაწერილი აქვს, თუ რა დოკუმენტებისგან უნდა შედგებოდეს პერსონალის პირადი საქმე.** პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რაც სკოლას აქვს განსაზღვრული მათ შორის: ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. ექსპერტებმა დაათვალიერეს პირადი საქმეები და შესაბამისი ცნობები ყველა თანამშრომლის პირად საქმეშია განთავსებული.

**ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს კონკურსის ჩატარების პროცედურები.** 2025 წელს სკოლაში ჩატარდა **რამდენიმე კონკურსი, რომელიც ჩაიშალა კანდიდატის არარსებობის გამო: საკონკურსო კომისიის ოქმი** #1 02.09.2025წ. -

**ბუნებისმეტყველების** ვაკანტური საათების შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევა - ბუნებისმეტყველების საათები დროებით გადაეცა მაძიებელს (საქმისმწარმოებელი), რომელსაც საგანი აქვს ჩაბარებული ბუნებისმეტყველებაში 1-6 კლასები და 60 კრედიტიან პროგრამას გადის ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში. **საკონკურსო კომისიის ოქმი** #1 02.09.2025წ. - **ბიოლოგიის** ვაკანტური საათების შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევა (ბიოლოგიის საათები დროებით მიცემული აქვს საქმისმწარმოებელს - მაძიებელი (საგანი აქვს ჩაბარებული ბუნებისმეტყველებაში 1-6 კლასები და 60 კრედიტიან პროგრამას გადის ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში). **საკონკურსო კომისიის ოქმი** #1 02.09.2025წ. - **ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების** ვაკანტური საათების შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევა (ინფორმაციული ტექნოლოგიების საათებიც დროებით გადაცემული აქვს მაძიებელს).

სკოლას არა ჰყავს მუსიკის მასწავლებელი. **საკონკურსო კომისიის ოქმი #1 02.09.2025წ.** - **მუსიკაში** ვაკანტური საათების შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევა. კონკურსი ჩაიშალა - მუსიკის საათები დროებით მიცემული აქვს დაწყებითის მასწავლებელს, ასევე რამდენიმე საათი - გერმანული ენის მასწავლებელს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანება (მუსიკისა და ქართულის მასწავლებელმა შეწყვიტა პედაგოგიური საქმიანობა და წავიდა სკოლიდან 2026 წლის თებერვალში). სკოლამ **გამოაცხადა მუსიკის კონკურსი 2026 წლის 10 თებერვალს** - კონკურსი ჩაშლილია ნული განაცხადის გამო. მას შემდეგ სკოლამ განმეორებით გამოცხადდა კონკურსი მუსიკაში, მაგრამ კვლავ ჩაიშალა. სკოლა გეგმავს ხელახალი კონკურსის გამოცხადებას.

**რჩევა: მიზანშეწონილია, სხვადასხვა საგანში ჩაშლილი კონკურსების მიუხედავად ვაკანტური საათების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადეს წელიწადში ორჯერ მაინც.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

**სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები - დირექტორის ბრძანება #53 27.10.2025წ.** „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“. მასწავლებლის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. ექთნის შემთხვევაში - N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით

დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. სკოლაში სხვა პოზიციებზე დასაქმებული პირებისათვის სკოლას თვითონ აქვს განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

**ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია სულ 19 თანამშრომელი, მათგან 14 მასწავლებელია (13 უფროსი და 1 წამყვანი - სკოლის დირექტორი), 1 მოწვეული მასწავლებელი (საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 9 საათს).** სკოლას ჰყავს დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი (ბიბლიოთკარის მოვალეობა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ პედაგოგს). ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

**პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კერძოდ:** ექთანი - კვალიფიკაცია დიპლომის მიხედვით „მედდა“ - აქვს სახელობო განათლების სერტიფიკატი (გაიარა პროგრამა მედდის საქმის პროგრამა, სერტიფიკატში მითითებული აქვს კვალიფიკაცია მედდა). კიდევ სხვა სერტიფიკატი - 17.03.2025წ. სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისაგან“ გაცემული; **ქიმიაში** სერტიფიცირებული მასწავლებელი - ქიმიკოსი დიპლომით - ასწავლის ფიზიკას; ტექნოლოგიების საათები - მიცემული აქვს - მაძიებელს დროებით. მოწვეულ მასწავლებელს (სერტიფიკატი აქვს ისტორიაში) საათები აქვს გეოგრაფიასა და პროექტი „სამოქალაქო განათლებაში“.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, დასაქმებულთა ფუნქციების აღმწერ დოკუმენტაციასა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში აღწერილი პროცესი გუნდური მუშაობის პრინციპებზეა დაფუძნებული. **სკოლაში არსებობს კოლეგიალური ორგანოები** - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა. მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებისას გამოიკვეთა მონაწილეობებითი და გუნდური მუშაობის პრაქტიკა სკოლაში.

**სკოლამ წარმოადგინა ოქმები,** რომლებიც ადასტურებს კოლეგიალური ორგანოების მუშაობას.

**პედსაბჭოს ოქმი #6 17 ივნისი 2024 წელი** - სკოლის ფილოსოფიის დამტკიცება; **სამეურვეო საბჭოს ოქმი #3 15 სექტემბერი 2025** წელი - 2025-2026 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება; **მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1 17 სექტემბერი 2025 წელი** - 2025-2026 ს/წ განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვა; **ქართულის, უცხოური ენების და საზოგადოებრივი მეცმიერებების კათედრის ოქმი #5 16 ივნისი 2025 წელი** - კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგების განხილვა; **ხარისხის ჯგუფის ოქმი #1 6 ნოემბერი 2025 წელი** - 2025-2026 ს/წ განმავლობაში ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულთა მიმართ **წახალისების ფორმები:** მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლა იყენებს წახალისების მექანიზმებს კერძოდ:

სკოლას ცალკე დოკუმენტი არა აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების შესახებ. სკოლის დირექტორმა მოიყვანა სკოლაში აღიარების დანერგილი პრაქტიკის მაგალითები - მასწავლებლებისათვის სკოლის მადლობის სიგელების გადაცემა, სკოლის ფეისბუქზე წარმატების გაზიარება, სამოდელო გაკვეთილის ფარგლებში - წარმატებული გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა.

**რჩევა: მიზანშეწონილია,** სკოლის მიერ შემუშავებულ რომელიმე დოკუმენტში გაწერილი იყოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მექანიზმში აღწერილი უნდა იყოს, როგორ ხდება დაწესებულებაში

წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი და როგორ ხდება გაზიარებული წარმატებული გამოცდილების გამოყენება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისას, მით უმეტეს ეს მნიშვნელოვანია სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, როცა თითოეულ კლასში ხშირ შემთხვევაში ერთადერთი მოსწავლეა და ასეთ არასტანდარტულ პირობებში მირწეული წარმატება ძალზე ღირებულია სხვა პედაგოგებისათვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პედსაბჭოს ოქმი #6 17 ივნისი 2024 წელი - სკოლის ფილოსოფიის დამტკიცება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #3 15 სექტემბერი 2025 წელი - 2025-2026 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1 17 სექტმებერი 2025 წელი - 2025-2026 ს/წ განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვა.
- ქართულის, უცხოური ენების და საზოგადოებრივი მეცმიერებების კათედრის ოქმი #5 16 ივნისი 2025 წელი - კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგების განხილვა.
- ხარისხის ჯგუფის ოქმი #1 6 ნოემბერი 2025 წელი - 2025-2026 ს/წ განმავლობაში ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

**შეფასება:**
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, **გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი მე-19 შესრულებული სამუშაოს შესრულება.**
პერსონალის საქმიანობის შეფასება სკოლაში ატარებს **ფორმალურ და სისტემატურ ხასიათს.** მასწავლებელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი ხდება სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით. სკოლა უზრუნველყოფს **მონიტორინგის შედეგების ანალიზს და მათ გამოყენებას** პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. დოკუმენტში მოცემულია **შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარაა ცნობილი** მასწავლებლისათვის. ექსპერტები გაესაუბრნენ მასწავლებლებს, რომლებმაც დაადასტურეს აღნიშნული.

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში აღნიშნულია პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევის პროცედურები, თუმცა არ არის დაკონკრეტებული. სკოლა ახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე შეიმუშავებს პერსონალის განვითარების გეგმას, რომელიც ასახული აქვს 2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

**პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი ასევე ასახულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში - საგაკვეთილო დასწრებები ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ.** საგნობრივი კათედრის ოქმებში, კერძოდ - სახელმწიფო ენისა და უცხოური ენების კათედრის ოქმში მითითებულია საკითხი - საგაკვეთილო დაკვირვების ჩარჩო - დაკვირვების კრიტერიუმები. დირექტორთან და ხარისხის ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით კათედრა მოახდენს საჭიროებების დადგენას და უკუკავშირის გაცემას.
**სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი** და დამტკიცებულია მისი დებულება. სკოლაში **დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა,** რომლის შემდეგ ივსება გაკვეთილზე დაკვირვებისა და პედაგოგის შეფასების ფორმა. **სკოლამ წარმოადგინა ხარისხის ჯგუფის აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები -** საგაკვეთილო დასწრების მასალები სხვადასხვა საგნისა და საფეხურის მასწავლებლებთან. მასწავლებელი ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და ეძლევა განმავითარებელი უკუკავშირი. სკოლამ ასევე წარმოადგინა **მასწავლებელთა**

**ურთიერთდასწრების მასალები.** კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების შედეგები განიხილება კათედრის სხდომაზე. კათედრის პორტფოლიოში ასევე აღნიშნულია მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებელთა მონაწილეობა ტრენინგებში-პროგრამებში-პროექტებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი მე-19 ეხება შესრულებული სამუშაოს შესრულებას. თუმცა ამ მუხლში მხოლოდ პრინციპებია ჩამოთვლილი. მიზანშეწონილია პერსონალის შეფასების მექანიზმში განსაზღვრული იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი/შემფასებლები და სხვა. შემფასებელი/შემფასებლები შეიძლება განისაზღვრებოდეს პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი/პირები, მასწავლებლები და სხვა, როგორც ეს არის სკოლის მიერ განსაზღვრული „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტში.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ახორციელებს **პერსონალის განვითარებას, რაც გაწერილი აქვს** ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **სამოქმედო გეგმაში - გაწერილია შემდეგი სახის აქტივობები:** მაგ. პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა (მაგრამ არ ჩანს აქტივობის კონკრეტული შინაარსი), ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება (არ ჩანს კონკრეტული ქმედება/ნაბიჯები), საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. ცალკე დოკუმენტის სახით შემუშვებული აქვთ რამდენ გაკვეთილს უნდა დაესწრონ წელიწადში - დასწრების სავარაუდო განრიგი. **დანართი #1** - მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების განრიგი (ხარისხის ჯგუფის ოქმი #2 26.12.2025წ.). აღნიშნული საკითხი ასახულია კათედრის შემაჯამებელ ოქმშიც.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში განსაზღვრულია კარიერული ზრდის მახასიათებლები და ის მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ პერსონალის პროფესიულ წინსვლას ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში (მაგალითად, მასწავლებლის მიერ შემდგომი სტატუსის მოპოვების ხელშეწყობა, მასწავლებელთა საგნობრივი გაერთიანების

ხელმძღვანელობა, საქმეთა მმართველის ან ფსიქოლოგის მიერ მასწავლებლობის უფლების მოპოვების ხელშეწყობა, ან პირიქით და ა.შ.).

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად კარიერული ზრდის თვალსაზრისით ძირითადად განსაზღვრულია ტრენინგებში მონაწილეობა, ურთიერთგამოცდილების გაზიარება, პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხარისხის ჯგუფის ხელშეწყობით. მასწავლებელები ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებას, რომლის შედეგადაც მასწავლებელს ეძლევა უკუკავშირი. კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ კათედრის სხდომებზე.

**დირექტორმა სასკოლო პრაქტიკიდან მოიყვანა კარიერული ზრდის მაგალითები** - მასწავლებლების სტატუსის ამაღლება სკოლის ხელშეწყობით, კერძოდ: 2018-2019 ს/წლის ბოლოს - შიდა სასკოლო შეფასების ფარგლებში სკოლამ შეაფასა მასწავლებლები საგაკვეთილო დაკვირვების ფორმატში, რის შედეგადაც სტატუსი აიმაღლა ოთხმა მასწავლებელმა. გეოგრაფიის მასწავლებელი თავისი გამოცდილებით დაეხმარა სკოლის დირექტორს - ქართული ენის მასწავლებელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაში. ასევე მეზობელი სოფელ ურავის სკოლის გამოცდილი მასწავლებელი მოიწვიეს ლიხეთის სკოლაში, რომელმაც გაუზიარა მასწავლებლებს საკუთარი გამოცდილება, როგორ გააკეთონ პროექტი.

**სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა სერტიფიკატები და ცნობები** მასწავლებლების ტრენინგების გავლის თაობაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას გაწერილი აქვს პროცესი, თუ როგორ ხდება **ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია** სამუშაო გარემოსთან და როგორ უზრუნველყოფს მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში. **ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში მე-18 მუხლში** გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია. მექანიზმში განსაზღვრულია სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობები, პირი/პირები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ინტეგრაციის პროცესში და ა.შ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესში განმარტებულია, რომ სკოლა უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება და ფულადი პრემიის გაცემა. სასკოლო პრაქტიკაში წახალისებულია დასაქმებულთა ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2025-2026 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ცნობები ტრენინგების გავლის თაობაზე
- ხარისხის მართვის მექანიზმი
- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება
- უკუკავშირები - მასწავლებლების თვითშეფასება
- დანართი #1 - მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების განრიგი (ხარისხის ჯგუფის ოქმი #2 26.12.2025წ.).
- მასწავლებელთა სერტიფიკატები და ცნობები მასწავლებლების ტრენინგების გავლის თაობაზე.
- ფინედუს სერტიფიკატები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.3. პროცესების მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

**სკოლას 2025 წლის 23 იანვრის N03 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“,** რომლითაც გათვალისწინებულია ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება. დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის შეფასების მიმართულებები: 1. მმართველობითი (სტრატეგიული დაგეგმვა), 2. ძირითადი (კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება), 3. დამხმარე (სკოლაში მიმდინარე ყველა სხვა დანარჩენი პროცესი). დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, მისი ვალდებულებები, აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შეფასება. კერძოდ: სკოლაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვიტარების ადა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დირექცია. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული ერთეულების მიერ სკოლის საქმიანობის კვლევა/შეფასების შედეგები მიეწოდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს. როგორც მასალების შესწავლით იკვეთება ასეთი სტრუქტურული ერთეულებია საგნობრივი კათედრები და პედსაბჭო. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ყოველი წლის ივნის–ივლისში ახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/კურიკულუმების იდენტიფიცირებას, სწავლის შედეგებთან/სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული მონაცემების/სტატისტიკის და კვლევის შედეგები წარედგინება კათედრებს.

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ საგნის მასწავლებლების ანგარიშები, თვითშეფასებები სასწავლო პროცესის შესახებ,ასევე მოცემულია მასწავლებლის მიერ წლის განმავლობაში ჩატარებული გაკვეთილების აღწერა და შეფასება. თვითშეფასებებში ზედმიწევნით კონკრეტულადაა აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები ესგ-ის მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის **ბრძანებით #76 დამტკიცებული „სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების მართვის (მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე) დოკუმენტი" 2025 წლის 18 დეკემბერს.** აღნიშნულ დოკუმენტში სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობით პროცესში მოიაზრება სკოლის საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითად პროცესში - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა). ხოლო სკოლის დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება, სატრანსპორტო მომსახურება, IT მომსახურება. ასევე განსაზღვრულია ამ პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში გამოიყენება პრინციპი - დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა **„სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" დოკუმენტი (ს/დირექტორის ბრძანება #63 13 ნოემბერი 2024წ.).** დოკუმენტით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განცხადების განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვა, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი. სკოლაში შექმნილია ასევე დისციპლინური კომიტეტი, სკოლამ წარმოადგინა კომიტეტის შექმნის ბრძანება.
**დოკუმენტების შესწავლა ადასტურებს, რომ სკოლაში არსებობს გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

**სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი,** რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა დაწესების გაცნობის მიზნით.** თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლას 2025 წლის 23 იანვრის N03 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“
- „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტი (ს/დირექტორის ბრძანება #63 13 ნოემბერი 2024წ.).
- ბრძანება #76 2025 წლის 18 დეკემბერი - „სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების მართვის (მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე) დოკუმენტი“
- 

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება

უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ.

სკოლას შემუშავებული აქვს **„საზოგადოებასთან კომუნიკაციის/ურთიერთობის წესი“** - დამტკიცებული ს/დირექტორის ბრძანებით #71 18 დეკემბერი 2025 წელი. დოკუმენტი განსაზღვრავს შიდა და გარე საკომუნიკაციო არხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში საზოგადოების როლის გაზრდისათვის. სკოლაში მართვის პროცესებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საზოგადოების უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლას ჩატარებული აქვს კმაყოფილების კვლევა მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებში, რომლის მტკიცებულებებიც წარმოადგინა ვიზიტის დროს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არასტანდარტულად მცირეკონტიგენტიანია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, **სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები** - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუქნცია-მოვალეობები“ და სასკოლო სასწავლო გეგმაში. ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. კათედრები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. კოლეგიური ორგანოების წევრები აფიქსირებენ საკუთარ აზრს და შესაძლებლობა აქვთ გასცენ სხვადასხვა რეკომენდაციები. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, საგნობრივი კთედრების ოქმები, მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „საზოგადოებასთან კომუნიკაციის/ურთიერთობის წესი“
- სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქცია-მოვალეობები“
- 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა

- პედსაბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად **სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით.** ეზოს მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია რკინის კონსტრუქციის კარები. სკოლის შენობა სრულად რეაბილიტირებულია და კეთილმოწყობილი, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შენობის პირველ სართულზე (მე-2 სართული პირველისაგან

იზოლირებულია ყრუ კარით), შესაბამისად შენობის ინფრასტრუქტურა (სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს) სრულიად უსაფრთხოა სასწავლო პროცესისათვის.

**სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი.** სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით #18 (5 მარტი 2026 წელი) დამტკიცებული დოკუმენტი **„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“.** დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და მიზნების მიღწევას. **სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას - აკონტროლებს გარეშე პირების გადაადგილებას სკოლის ტერიტორიაზე.** კონკრეტულ თანამშრომელზე (დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მასწავლებელი) დავალებულია აღნიშნული ფუნქციის შესრულება - **დირექტორის ბრძანებით #52 09.10.2025 წელი** „გარეშე პირთა და სტუმრის სტატუსით შემომსვლელთა მკაცრი აღრიცხვისა და რეგისტარციის სპეციალური ჟურნალის დამტკიცების შესახებ“. **სკოლა აწარმოებს ჟურნალს - გარეშე პირთა და შემომსვლელთა აღრიცხვისა და რეგისტარციის სპეციალური ჟურნალი. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი თანამშრომელი.** სასწავლო პროცესის შემდეგ სკოლის დაცვას უზრუნველყოფს ღამის დარაჯი.

**სკოლა აღჭურვილია** ,,ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ’’ 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებების **შესაბამისი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით - სკოლაში მშენებლობის დროს დამონტაჟდა 24 ცალი ვიდეო-კამერა (11 გარე და 13 შიდა დაკვირვების).** მონიტორი დამონტაჟებულია უსაფრთხოების კაბინეტში (ცალკეა გამოყოფილი) და მასზე მეთვალყურეობას ახდენს **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კამერები სრულად ფარავს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს.**

**სკოლას შემუშავებული არა აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე სკოლას არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლას არა აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და არა აქვს გაკეთებული შესაბამისი მიმართვა.** აღნიშნული განპირობებულია სკოლისაგან დამოუკიდებელი ფაქტორებით - სკოლა ახალი გადასულია რეაბილიტირებულ შენობაში (2025 წლის 15 სექტემბერს გადავიდა) და არა აქვს მიღებული არანაირი დოკუმენტი რაებილიტირებული შენობის ინფრასტრუქტურის, მისი ზომების/ფართის და ჩატარებული სამუშაოების აღწერილობის შესახებ. **სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა წერილი #MES 5 25 0001846842 26.12.2025 წელი - ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სახელზე, რომლითაც სკოლა ითხოვს**

**შუამდგომლობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან** სკოლის ადმინისტრაციისათვის სკოლის შენობის ჩაბარებისა და შესაბამისი დოკუმენტების გადაცემის შესახებ.

სკოლა შესაბამისი დოკუმენტების არ ქონის გამო **ვერ ამზადებს საევაკუაციო გეგმებს,** შესაბამისად 1. **ვერ ათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას** უფლებამოსილ ორგანოსთან; **2.** სკოლაში ვიზიტის პერიოდში **არ იყო დასრულებული სკოლის სახანძრო სისტემის დანადგარების გამართვა.** ამიტომ, **სკოლას არ გაუკეთებია წერილობითი მიმართვა** უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად; 3. **სკოლა ვერ მოიპოვებს შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნას უფლებამოსილი ორგანოსაგან,** რადგან არა აქვს გადმოცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტი რეაბილიტაციის შემდგომ.

სკოლა დაუკავშირდა საქართველოს განათლების სამინისტროს, რის შედეგადაც **2026 წლის იანვარში სკოლაში ვიზიტით ჩავიდნენ სამინისტროს და შემსრულებელი კომპანიის „საბა-კონტრაქშენის“ წარმომადგენლები. ვიზიტის დროს** შეადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი #320701/03/268, რომელშიც მითითებულია - სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად, რაზეც აღნიშნულია სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში. **2026 წლის თებერვალში** სკოლის შენობაში **დაამონტაჟეს სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმები** - წყლის ავზი დააერთეს ცალკე შენობაში, რომელიც საქვაბისაგან იზოლირებულად არის დამონტაჟებული. დაამონტაჟეს კვამლის დეტექტორები და სიგნალიზაცია, თუმცა სკოლას არა აქვს ამ სამუშაოების დასრულების შესახებ რაიმე სახის დოკუმენტი.

**სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი** - დირექტორის ბრძანება #59 21 ნოემბერი 2019 წელი - ისტორიის მასწავლებელი. **სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

**სკოლამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შემდეგი აქტივობები:**

**1. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება - 01.02.2027წ.**

**2. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება - 01.02.2027წ.**

**3. უფლებამოსილ ორგანოსთან მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით - 01.02.2027წ.**

**სკოლას შემუშავებული არა აქვს შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს რისკების შეფასებასა და მართვას, უზედური შემთხვევების მოკვლევის მექანიზმებს, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუაციას, ინციდენტების კონტროლსა** და სხვა.

**სკოლის ეზოს ტერიტორიაზე დასაწყობებულია სამშენებლო ნარჩენები** (რადიატორები, ხის მასალა და სხვა), რომლებიც განთავსებულია სკოლის სასწავლო შენობის მოშორებით, სადაც ნაკლებია ბავშვების შემხებლობა. სკოლის სასწავლო კორპუსის მე-2 სართული არ ფუქნციონირებს - იქ ჩატარებულია გარკვეული გამაგრებითი სამუშაოები და შესაძლებელია ამ სივრცის გამოყენება მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში. მე-2 სართულზე ადის კიბეები, რომელთანაც წვდომა არ აქვთ ბავშვებს, რადგან კიბეებთან დამაკავშირებელ სივრცეში დაკიდულია კარი (ჩაკეტილ მდგომარეობაში).

**რეკომენდაცია: სკოლას მიეცეს რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები:**

**1. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება - 01.02.2027წ.**

**2. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება - 01.02.2027წ.**

**3. უფლებამოსილ ორგანოსთან მიმართვის გაკეთება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით - 01.02.2027წ.**

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. მიზანშეწონილია სკოლამ კონკრეტულ თანამშრომელს დაავალოს აღნიშნული ფუნქციის შესრულება.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

**სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სკოლას ჰყავს ექთანი, სკოლას შემუშავებული არა აქვს *„სამედიცინო დახმარების წესი“.*** სკოლას დადგენილი აქვს დერეფნებში მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლაში მოქმედებს 112–ზე დარეკვისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების პრაქტიკა, რისი შესრულებაც დასტურდება სამედიცინო შემთხვევების ჟურნალის დათვალიერების შედეგად.
ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც მოეწყო სკოლის რეაბილიტაციის დროს 2025 წლისათვის. სკოლას ამ ეტაპზე **ინფრასტრუქტურის სააგენტოსაგან ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან არა აქვს მიღებული სამედიცინო აღჭურვილობა. სკოლამ თავისი ხარჯით შეიძინა გარკვეული სამედიცინო ინვენტარი.**
**სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - საინვენტარიზაციო უწყისი #37 11 ნოემბერი 2025წ:** პაციენტის ტახტი, კარადა მედიკამენტების შესანახად, შირმა, სასწორი, სფიგმომანომეტრი და ტონომეტრი, სტეტოსკოპი, რეზინის სათბური, ყინულის ბუშტი, სამედიცინო მაკრატელი, პინცეტი, ფიქსატორი მოტეხილობისათვის, დინამომეტრი, ინჰალატორი, სიმაღლის საზომი, გლუკომეტრი, გამადიდებელი ლუპა, რეზინის ლახტი, სუნთქვის საშუალება და საკაცე. აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი.

ექთანი აწარმოებს 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს (გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევებისა, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო

მასალების აღრიცხვას.). ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სარეგისტრაციო ჟურნალები მატერიალური სახით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილია **ექთნის ხელმისაწვდომობა.**

**ხელშეკრულება #20 25.11.2025წ. ექთნის ფუნქციები განსაზღვრულია** 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი **N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით** დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად.

**რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის მიზნით უზრუნველყოს კაბინეტი ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და პრევენციულ ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სხვადასხვა საშუალებებით. სკოლაში დადგენილია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი, სკოლის მცირეკონტიგენტიანობიდან და შენობის კომპაქტურობიდან გამომდინარე მასწავლებლები მუდმივად იმყოფებიან საკურატორო კლასებთან. განსაზღვრულია შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (ისტორიის მასწავლებელი),** რომელსაც აქვს მანდატურის სამსახურის სერტიფიკატი 2019 წლის 05.11. - წარმატებით დაძლია უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-მოდული. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს, ასევე განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

**სკოლამ წარმოადგინა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულებები:**

1. სკოლის დირექტორის ანგარიში 2024-2025 ს/წ განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სკოლაში გატარებული აქტივობების შესახებ.

2. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებასა და საზ. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.
3. მოსწავლეთა და მასწავლებელთა კითხვარები
4. მოსწავლეებთან ჩატარებული ღონისძიებების (ბულინგის ან/და ძალადობის თემაზე) ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ხელით შექმნილი პლაკატები და ნახატები, სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამის მასალები).

სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლეგიური **ორგანო- მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება #7 28 თებერვალი 2019 წელი, დირექტორის ბრძანება #60 30.10.2025წ. - მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ. მრჩეველთა საბჭოს ოქმები 2024-2025 ს/წ და 2025-2026 ს/წ.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და არც ფსიქოლოგი. გამომდინარე სკოლის მცირეკონტიგენტიანობიდან, საგნის მასწავლებლები/დამრიგებლები თავად ასრულებენ ფსიქოლოგის ფუნქციებს ასეთი საჭიროების შემთხვევაში (ესაუბრებიან ბავშვებს მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, გოგონებს ასაკის შესაბამისი პრობლემების შესახებ და სხვა). მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებლები და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას.
სკოლა მის ხელთ არსებული საშუალებებით ახდენს მოსწავლეების **ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირებას,** შედეგების შეფასებას, მოსწავლისთვის **ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში სულ 15 მოსწავლე სწავლობს, რომლებიც ამავე დროს ერთმანეთის ნათესავები და ახლობელბი არიან, მასწავლებლები კარგად იცნობენ თითოეული ბავშვის სოციალურ გარემოს, შინაგან სამყაროს და პრობლემებს და არ უჭირთ მათი რეგულირება და რისკების მართვა.**

მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით **სკოლას შემუშავებული აქვს** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით **დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“**, განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სახალხო** დამცველის, 112-ის საკონტაქტო ნომრები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარული რესურსების გამოყენებით. სკოლაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დამლაგებლის 2 საშტატო ერთეული. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლაში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სხვადასხვა სივრცეებში, მათ შორის სველ წერტულებში და ასევე გარე პერიმეტრზე.
სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სველ წერტილებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას ჰქონდეს ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი.**

### 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ''. წარმოდგენილია მასწავლებლის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მშობელთა თანხმობის ფორმები - მოსწავლეებისათვის ფოტო-ვიდეო გადაღებაზე.
სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.
სკოლას შემუშავებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა - სკოლას დირექტორის ბრძანებით #24 დამტკიცებული აქვს **„პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინციდენტის პოლიტიკა“**, რომლითაც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმს.

სკოლას ჰყავს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** - რესურსცენტრის წარმომადგენელი - **რესურსცენტრის ბრძანება #5-23 21.03.2025წ.** პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობის შესახებ“ დანართი #1 - განსაზღვარს პერსონალურ მონაცემტა დაცვის ოფიცრის სამუშაოს აღწერილობას და ანგარიშვალდებულებას.

პერსონალური მონაცემების დაცვის წესში აღწერილია, თუ რომელი მონაცმები მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ასევე, მათი დამუშავების წესი და დეტალურად არის წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომელიც მოიცავს: ანტივირუსული პროგრამების უზრუნველყოფას; პერსონალური ინფორმაციის დაცვას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ამისათვის სკოლას მომაგრებული ჰყავს აიტი მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლამ პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. ამისათვის **სკოლა შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები**. სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინციდენტის პოლიტიკის დოკუმენტი - ბრძანება #24 21 აგვისტო 2025 წელი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა
- მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმი #1 17 სექტემბერი 2025 წ.
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სერტიფიკატი
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება #7 28 თებერვალი 2019 წელი,
- დირექტორის ბრძანება #60 30.10.2025წ. - მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები 2024-2025 ს/წ და 2025-2026 ს/წ.
-

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**
**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთში. სოფელი მდ. ლუხუნის ვიწრო ხეობაშია, მისასვლელი გზა მუნიციპალური ცენტრიდან სოფლამდე მოასფალტებულია. ამბროლაური-ონის დამაკავშირებელი ცენტრალური გზიდან გადასახვევიდან 8 კმ-ში.
სკოლის შენობა რეაბილიტირებულია 2025 წელს სსიპ ინფრაქტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში. სკოლის შენობა ორი ერთმანეთისაგან იზოლირებული შენობისაგან შედგება: ერთი შენობა (სადაც ამჟამად განთავსებულია სკოლა) 2 სართულიანია. მისი პირველი სართული რეაბილიტირებულია სრულად და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ამ შენობის პირველ სართულზე. რაც შეეხება ამავე შენობის მე-2 სართულს, შენობის გარეთა ფასადი სრულად მოპირკეთებულია, მე-2 სართულის შიდა სივრცეში კი ჩატარებულია გამაგრებითი სამუშაოები, კედლები გალესილია, ფანჯრები ჩასმულია. ამ ეტაპისათვის სასწავლო პროცესისათვის ამ სართულის გამოყენება შეუძლებელია. აღნიშნული შენობასთან უკანა მხრიდან დაკავშირებულია მე-2 ორსართულიანი შენობა, რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს, იქ განთავსებულია სამშენებლო ნარჩენები და სხვადასხვა ამორტიზებული ინვენტარი. ამ შენობასთან ძირითად სასწავლო კორპუსს არა აქვს წვდომა, რადგან ყრუ კედლითაა ამოქოლილი.
**სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც მუშაობს დიზელის საწვავზე. საქვაბე მოწყობილობის შენობა მდებარეობს სკოლის უკანა ეზოში სასწავლო კორპუსიდან იზოლირებულად.**

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სულ 7 საკლასო ოთახი, **ერთი კლასი მოთავსებულია რესურსოთახში.**
15 მოსწავლე კლასებში შემდეგნაირადაა განაწილებული (1 კლასი - 1 მოსწავლე, მე-2 კლასი - 1, მე-3 კლასი- 1 (კლას-კომპლექსტი მე-2-3 კლასები), მე-4 კლასი - არაა, მე-5 კლასი - 1, მე-6 კლასი -2, მე-7 კლასი - არაა, მე-8 კლასი -3, მე-9 კლასი -1 და მე-10 კლასი -5, მე-11 და მე-12 კლასები - არაა). **საკლასო ოთახების რაოდენობა არ შეესაბამება ფინანსური კლასების რაოდენობას, მე-2 სართულზე არის - საკლასო ოთახების დამატების შესაძლებლობა, რისი პერსპექტივაც მოაზრებული აქვს სკოლას. სკოლაში მოსწავლეთა მოთხოვნილი მაქსიმალური რაოდენობის (60 მოსწავლე) შემთხვევაში სკოლის პირველ სართულზე, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, შესაძლებელია ყველა ფინანსური კლასისა და ყველა მოთხოვნილი მოსწავლის სრულად განთავსება ერთ შემთხვევაში: სკოლამ უნდა გადატიხროს რამდენიმე ორ ფანჯრიანი საკლასო ოთახი, ასევე შესაძლებელია გამოიყენოს კლას-კომპლექტები. რამდენიმე საკლასო ოთახის ფართი (დაახლოებით 30-35 კვ.მ.) იძლევა გადატიხვრისა და თითოეულ ოთახში მაქსიმუმ 6 მოსწავლის განთავსების შესაძლებლობას.**

**სკოლაში არის კეთილმოწყობილი** სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. სკოლაში ასევე არის ადაპტირებული სველი წერტილი, სამედიცინო ოთახი, დირექციის ოთახი, რესურსოთახი, სადაც მოწყობილია საკლასო სივრცე. საკლასო ოთხებს აქვთ

ბუნებრივი განათება. სკოლას ასევე აქვს კეთილმოწყობილი **სპორტული მოედანი** სკოლის ეზოს პირდაპირ და **შიდა სპორტული დარბაზი.** სკოლას აქვს **ბიბლიოთეკა,** სადაც განთავსებულია სამკითხველო სივრცე. სკოლას აქვს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია,** სადაც განთავსებულია კარადები. ლაბორატორიაში არის ონკანი. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი მოწყობილობით და ხელსაბანით. გამოკრულია უსაფრთხოებისა და ლაბორატორიაში მუშაობის წესები. ლაბორატორიაში განთავსებულია ლაბორატორიული ჭურჭელი, მულაჟები, ხელსაწყოები, სხვადასხვა სასწავლო რესურსი. **სკოლაში არის კომპიუტერული ტექნიკა,** პრინტერები, 2 სმარტ მონიტორი. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს კომპიუტერული ლაბორატორია და შეამოწმეს კომპიუტერული ტექნიკის მუშა მდგომარეობა.

შენობა-ნაგებობა და მასში განთავსებული ინვენტარი უზრუნველყოფს მოსწავლეების ეფექტურ ჩართვას კურიკულუმით განსაზღვრულ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. **სკოლას აქვს საკმარისი საოფისე ინვენტარი 60 მოსწავლის მიღების შემთხვევაში,** მათ შორის საკლასო მერხები და სკამები, დაფები, მაგიდები. მერხები და დაფები (კარგ მდგომარეობაში) მიღებული აქვს საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში და დასასწყობებულია მე-2 სართულზე.

**სკოლას დახარვეზებული ჰქონდა აღნიშნული ინდიკატორი - სკოლის სასწავლო კორპუსში (პირველ სართულზე) საკლასო ოთახების რაოდენობა არ შეესაბამებოდა ფინანსური კლასების რაოდენობას, სკოლის მიერ მოთხოვნილი 60 მოსწავლისა და პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით ყველა კლასის არსებობის პირობებში. სკოლამ გაიზიარა ექსპერტების პოზიცია და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის განახლებული გეგმა, რომლითაც გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა -** 1. სკოლის მე-2 სართულზე სამი საკლასო ოთახის განსაზღვრა. 2. განსაზღვრულ სამი საკლასო ოთახის გარემონტება და შესაბამისი სასწავლო ინვენტარით აღჭურვა 2028 წლის მარტამდე.
**ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.**
**ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს **ლაბორატორიის გამოყენების წესი და ბიბლიოთეკის დებულება.** სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას. სკოლა გეგმავს სასკოლო აქტივობებს

სკოლის სხვადასხვა სივრცეში - ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში, სპორტულ დარბაზში, ღია სპორტული მოედანზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ასევე სახელმძღვანელოები. **სკოლას საშტატო განრიგით არ ჰყავს გამოყოფილი ბიბლიოთეკარის შტატი.** ბიბლიოთკარის ფუნქციას დირექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს ერთ-ერთი მასწავლებელი (დირ. ბრძანება #2-52 21 დეკემბერი 2018 წელი „ბიბლიოთეკაში არსებულ აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასა და მისი მუშაობის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ"). **ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განლაგებულია ერთ საერთო სივრცეში (ოთახის სავარაუდო ფართია 40 კვ.მ.).** სკოლაში სულ 15 მოსწავლის პირობებში აღნიშნული ფართი ნაკლებად ზღუდავს სივრცეს ბიბლიოთეკის საქმიანობისათვის, საბიბლიოთეკო საქმიანობისათვის ფართი საკმარისი იქნება სკოლაში 60 მოსწავლის სწავლის პირობებშიც იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია გარკვეული განრიგით იფუნქციონირებს. თუმცა ერთდროულად შეუძლებელია (ხელისშემშლელია) ერთ საერთო სივრცეში ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის ფუნქციონირება.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებელს. წიგნები დამუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, რომლებიც გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისათვის. **სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება - დირ. ბრძანება #77 18 დეკემბერი 2025 წელი,** რომელიც ითვალისწინებს მკითხველის მიერ რესურსის გატანა-დაბრუნების მარეგულირებელი ნორმებს, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, მუშაობის განრიგს, ბიბლიოთეკარის ფუნქციებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის სრულფასოვანი ფუნქციონირება. შესაძლებელია ამისათვის გამოყენებული იქნას აუთვისებელი სივრცე შენობის მე-2 სართულზე მისი კეთილმოწყობის პირობებში, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა, ღია სივრცე და ინვენტარი ისეა მოწყობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების გადაადგილება და ხელმისაწვდომობა** კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეებთან ხელმისაწვდომია.
**სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე**, არც ჰყოლია უკანასკნელი წლებია. მოსწავლეებს სრულად აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ნებისმიერი რესურსით. სკოლას აქვს იზოლირებული რესურსოთახი, სადაც ამ ეტაპზე დროებით განთავსებულია საკლასო ოთახი. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ სართულზე. შენობის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, რომლითაც ეტლით მოსარგებლე დაუკავშირდება სკოლის ცენტრალური შესასვლელის შიდა სივრცეს და შემდეგში ელექტრო-ლიფტი (ამწე), რომელიც უზრუნველყოფს შენობაში შშმ-პირის შემოსვლას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, შიდა სპორტული დარბაზი, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის დერეფნასა და საკლასო ოთახებში გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები და სასწავლო თემატური თვალსაჩინოებები. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლა ერთადერთი კულტურული და სასწავლო დაწესებულებაა სოფელში, შესაბამისად დიდ დროს ატარებენ სკოლის შენობაში მათ შორის საგაკვეთილო დროის შემდეგაც. ეხმარებიან მასწავლებლებს საჭიროების შემთხვევაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირ. ბრძანება #2-52 21 დეკემბერი 2018 წელი „ბიბლიოთეკაში არსებულ აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასა და მისი მუშაობის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- ბიბლიოთეკის დებულება - დირ. ბრძანება #77 18 დეკემბერი 2025 წელი
- ინვენტარის მიღბა-ჩაბარების აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი რაოდენობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს **კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა**. სკოლაში ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელსაც ევალება ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში დაკავშირება emis-ის ტექნიკურ სამსახურთან, ასევე განრიგის მიხედვით ტექნიკის გამოყენების მეთვალყურეობა.

**სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია.** სკოლას 2025-2026 ს/წ დასაწყისში სსიპ ინფრაქტუქტურის სააგენტოსაგან გადაეცა დამატებით 10 პერსონალური კომპიუტერი (acer) და ერთი პრინტერი (hp). ამ ეტაპზე სკოლაში არის სულ 16 კომპიუტერი, ამათგან 3 კომპიუტერი სკოლის საკუთარი ხარჯებითაა შეძენილი, ხოლო 3 კომპიუტერი/ბუკი პირველკლასელთა დამრიგებლების პროგრამითაა მიღებული. გარდა ამისა, სკოლას აქვს 2 პრინტერი, 1 პროექტორი, 2 წყვილი დინამიკი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, სკოლა სრულად არის დაფარული Wi-Fi-ით, თუმცა ინტერნეტთან რეალური წვდომა არის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში.

2 კომპიუტერი, 1 პრინტერი და 1 პროექტორი განთავსებულია სამასწავლებლოში, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ელექტრო ჩამრთველებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში/ბიბლიოთეკაში განთავსებულია 6 კომპიუტერი. კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, ბიბლიოთეკა, საქმისწარმოების მენეჯერი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლას დამტკიცებული აქვს **კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა**, ასევე ბიბლიოთკის დებულება (ბიბლიოთკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეშია მოწყობილი). **აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით გამოყენების პირობებს.** მასწავლებლებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში, რომელიც დაახლოებით 50 კვ.მ-ია. დოკუმენტით განსაზღვრულია სამასწავლებლოს სამუშაო სივრცის გამოყენება 9 საათიდან 18 საათამდე. შაბათს და კვირას 11-დან 15 საათამდე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სივრცეში ყოველდღიურად კომპიუტერით სარგებლობის საჭიროება გამოკითხვის საფუძველზე აქვს 5 მასწავლებელს. მოსწავლეებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში (დაახლოებით 50 კვ.მ.), რომელიც გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისათვის და სხვადასხვა ჩვენებებისათვის. კომპიუტერული კლასი ხელმისაწვდომია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9-დან 16 საათამდე. შაბათ-კვირას მოსწავლეებს ამ სივრცის გამოყენება შეუძლიათ 11-დან 16 საათამდე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. კომპიუტერული ტექნიკის მუშობაზე მეთვალყურეობა დავალებული აქვს ტექნოლოგიების მასწავლებელს.

სკოლაში დასაქმებული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სარგებლობენ პირადი ლეპტოპებით. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აქვთ ბუკები, რასაც იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სახლში არა აქვთ ინტერნეტთან წვდომა, შესაძლებლობა აქვთ სკოლაში იმუშაონ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა
- ბიბლიოთეკის დებულება

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების წესი (დ/ბრძანება #80 24 დეკემბერი 2025 წელი),** რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, დოკუმენტების გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში იწარმოება 7 ჟურნალი: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, სკოლის დირექტორის საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი (საერთო). ასევე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი, მოსწავლეთა ანბანური წიგნი, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. არ არის შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია და დანომრილია დადგენილი წესით. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს **საქმის წარმოების მენეჯერი,** რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვრულია ფუნქცია მოვალეობები **(ხელშეკრულება #01-15/30 31 ოქტომბერი 2025 წელი).**

ექსპერტებმა დაათვალიერეს საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახი და იქ წარმოებული დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ საქმისმწარმოებელს. ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებული შემოსული და გასული დოკუმენტების თანხვედრა ელექტრონულ ფორმატთან, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელთა წარმოება და საქმეში დაცული დოკუმენტები ზუსტად ემთხვევა საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ პირობებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), სადაც ასახულია მოსწავლეების, დასაქმებულებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია და Eflow, facebook, ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. **სკოლაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა როგორც შიდა, ისე გარე დოკუმენტბრუნვისათვის** (განათლების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა გარეშე ორგანიზაციებთან). სკოლაში შემოსულ და გასულ ყველა სახის დოკუმენტაციას საქმისმწარმოებელი ტვირთვას ელექტრონულ სისტემაში, მშობლებთან ურთიერთობა იწარმოება ელექტრონული ჟურნალის და სკოლის ფოსტის მეშვეობით. მშობელს შესაძლებლობა აქვს სახლიდან გაუსვლელად ნახოს მოსწავლის მონაცემები. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის პროფილი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ანგარიშგებისა და ინფორმაციას მიწოდების მიზნით სკოლა თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვა უწყებებთან. საქმისწარმოების წესის და მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად სკოლაში ხდება შემოსულ განცხადებებზე თუ სხვა დოკუმენტებზე შესაბამისი რეაგირება. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების დებულება
- Eflow, lixeti.sajaro@gmail.com, facebook, ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge, ელექტრონული ფოსტა - Likheti@mes.gov.ge ელექტრონული ჟურნალი.
- დოკუმენტების ადგილზე დათვალიერება-შესწავლა

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი, რომლებსაც სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სიახლეები, ხოლო სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას - სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კერძოდ: სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, არის სანდო და უტყუარი. მშობლებმა პირიპირ გასაუბრებისას ისაუბრეს სკოლასთან კომუნიკაციის ფორმებზე, რითაც დადასტურდა სკოლისაგან სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიღება.
   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს ზეპირი და წერილობითი გამოკითხვის მეთოდს. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიურების დროსაც, რომლებმაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ აისახა მათი მოსაზრებები სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. აღნიშნა, რომ მათი სურვილები და ინტერესები სკოლის მხრიდან მაქსიმალურადაა გაზიარებული.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   **სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება.
- ვებ-გვერდის დათვალიერება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლები შედგება მხოლოდ მოსწავლეების ვაუჩერული დაფინანსებისაგან, თუმცა მოცემულ ეტაპზე სკოლას გააჩნია გარკვეული დანაზოგი. სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლები და ხარჯები. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი ასახულია ბიუჯეტში. **სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - მტკიცებულება სხდომის ოქმი #7 9 დეკემბერი 2025წ.**
სკოლის მცირეკონტიგენტიანობის მიუხედავად, სკოლა მოცემულ ეტაპზე ფინანსურად უზრუნველყოფს კომუნალური გადასახადების დაფარვას საკუთარი სახსრებით, ასევე სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის დაფინანსებას, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი განკარგავს თანხებს სკოლის ბიუჯეტის შესაბამისად სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. წარმოდგენილია სკოლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი დოკუმენტი - **ფინანსური მდგომარეობის შესახებ სკოლის დირექტორის ანგარიში 2025 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით.** ექსპერტების გაესაუბრნენ ბუღალტერს, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შედგენა ხდება დირექტორისა და მისი ჩართულობით წინა წლის გამოცდილებისა და ფასების გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია სკოლის საჭიროებები. **სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების გეგმა 2026 წლისათვის** და შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ სკოლის **დირექტორის ბრძანება #66 19 ნოემბერი 2024 წელი.**
სკოლას ჰყავს კვალიფიციური ბუღალტერი მრავალწლიანი სასკოლო გამოცდილებით, რომელიც იმავდროულად დასაქმებულია მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლაში. სკოლის ბუღალტერი ამავე დროს არის ბაზრის კვლევაზე და შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორის ბრძანება #56 16.11.2023წ.
დოკუმენტების შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) მექანიზმები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2026 წლის ბიუჯეტი
- 2026 წლის შესყიდვების გეგმა - დირექტორის ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე
- ფინანსური მდგომარეობის შესახებ სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი 2025 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით.
- ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ - დირექტორის ბრძანება #56 16.11.2023წ.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

**სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები კანონით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად:** სკოლის შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმი); მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქცია. ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #79 24 დეკემბერი 2025 წელი.

**კერძოდ, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი,** რომლითაც დარეგულირებულია მოსწავალეთა უფლებები და მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები.

**მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ** სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ, თითოეული მათგანი დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან. იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

**სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი და ახალგადმოსული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას.**

**მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, არსებობს საჩივრების განხილვის წესი.**

სასკოლო საზოგადოება იცნობს და იცავს წესს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციას", რომელიც შემუშავებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად. დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა" დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები.

**სკოლის მიერ შემუშავებული აღნიშნული შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავით განსაზღვრულ მოსწავლის ძირითად უფლებებსა და და გარანტიებს:** ზოგადი განათლების მიღების უფლება; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება; გასაჩივრების უფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; რწმენის თავისუფლება.

**მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ფარავს შემდეგ საკითხებს:**

- **დისციპლინის დაცვა სკოლის ტერიტორიაზე** - სკოლის შინაგანაწესის #9 მუხლი და #29-30-31 მუხლები.
- **მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია** - სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ - ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები. დირექტორის ბრძანება #10 16 მაისი 2024 წელი - მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- **მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერა სკოლაში** - სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების დამტკიცების შესახებ - დირექტორის ბრძანება #74 18 დეკემბერი, 2025 წელი.
- **მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეწყვეტა** - მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის შესახებ დირექტორის ბრძანება #81 24 დეკემბერი 2025 წელი.
- **გასაჩივრების მექანიზმები** - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი - დირექტორის ბრძანება #63 13 ნოემბერი 2024 წელი

- **მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის რეგულირება** - თვითმმართველობის დებულება - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #48 7 ოქტომბერი 2025 წელი;
- **მშობლებთან ურთიერთობის რეგულირება** - „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #71 18 დეკემბერი 2025 წელი. მშობელთან ურთიერთობის დებულება - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #70 10 დეკემბერი 2024 წელი.
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #9 16 მაისი 2024 წელი.
- დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია **რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი** - დირექტორის ბრძანება #51 31 ოქტომბერი 2019 წელი - ისტორიის მაწავლებელი.
- **2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები** უსაფრთხოებასთან/დისციპლინასთან, სწავლა-სწავლების ღონისძიებებთან, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით და ა.შ.;

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

ექსპერტთა ჯგუფთან სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგულაციები ნათელია და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე (სკოლების პორტალი - https://skolebi-admin.emis.ge/schools), გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე (https://www.facebook.com/share/1J8pABexPj/?mibextid=wwXIfr), გამოკრულია ფოიეში. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები. საასკოლო რეგულაციების გაზიარება ჩანს მშობელთა კრებების ოქმებშიც, სადაც ერთ-ერთ საკითხად შეტანილია ბავშვის უფლებების, მოვალეობების და ვალდებულებების განხილვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებას ახლავს მშობლის თანხმობის ფორმა ფოტო-ვიდეო გადაღებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობლის თანხმობის ფორმები ფოტო-ვიდეო-გადაღებაზე
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ.
- დირექტორის ბრძანება #10 16 მაისი 2024 წელი - მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესახებ.
- სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების დამტკიცების შესახებ – დირექტორის ბრძანება #74 18 დეკემბერი, 2025 წელი.
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევის წესის შესახებ დირექტორის ბრძანება #81 24 დეკემბერი 2025 წელი.
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი - დირექტორის ბრძანება #63 13 ნოემბერი 2024 წელი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება - დირექტორის ბრძანება #48 7 ოქტომბერი 2025 წელი;
- „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი" - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #71 18 დეკემბერი 2025 წელი.
- მშობელთან ურთიერთობის დებულება - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #70 10 დეკემბერი 2024 წელი.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #9 16 მაისი 2024 წელი.
- რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორის ბრძანება #51 31 ოქტომბერი 2019 წელი.
-

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   **სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი - დირექტორის ბრძანება #81, 24 დეკემბერი 2025 წელი,** რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, კლასისა და საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, მოსწავლეთა მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პირობებს, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობებს, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესს და სხვა.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

   **სკოლამ წარმოადგინა ნიმუშები** - მოსწავლის ჩარიცხვის - ბრძანება #56 21 სექტემბერი 2020 წელი,
   მე-12 კლასის მოსწავლეთა ამორიცხვის - ბრძანება #15 27 მაისი 2025 წელი.
   პირველ კლასელის ჩარიცხვის - ბრძანება #17 20 ივნისი 2025 წელი.
   საშუალო საფეხურის დაძლევის - **დირექტორის ბრძანება** #14 23 მაისი 2025 წელი. **პედსაბჭოს სხდომის ოქმი** #3 21 მაისი 2025 წელი - მე-12 კლასის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევს შესახებ.

მოსწავლის სტატუსის აღდგენის - ბრძანება #3 21 აპრილი 2023 წელი.
მოსწავლის სტატუსის შეჩერების - ბრძანება #21 19 მარტი 2021 წელი.
შემოსული მშობელთა განცხადებების ნიმუშები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლას 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები, სადაც მოცემულია რა სერვისებს სთავაზობს მოსწავლეებს და რა პირობებით, სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის ქცევის წესები და მოსწავლის მხრიდან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული ზომები. სასკოლო სერვისები შეზღუდულია სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. სკოლა მოსწავლეებს თავაზობს კლუბური მუშაობის მომსახურებას - ლიტერატურული კლუბი, პროექტულ სწავლებას საშუალო საფეხურზე, ტრანსპოტის მომსახურებას.
აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები იღებენ ვებ. გვერდის, ფეისბუქ გვერდის, დახურული ჯგუფების და მშობელთა კრების საშუალებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ

პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს (კლუბურ მუშაობას) და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

**სკოლა ინფორმაციის გავრცელებას ახორციელებს:** დამრიგებლების მეშვეობით მშობლებთან შეხვედრებზე; სოციალურ ქსელში; ვებ-გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩრება/აღდგენის და შეწყვეტის წესი.
- მობილობის ბრძანებები
- მოსწავლის სტატუსის აღდგენის - ბრძანება #3 21 აპრილი 2023 წელი.
- მოსწავლის სტატუსის შეჩერების - ბრძანება #21 19 მარტი 2021 წელი.
- შემოსული განცხადებების ნიმუში
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი კლასის და საფეხურის დაძლევაზე
- მე-2 უცხო ენის არჩევის შესახებ მშობელთა კრების ოქმი
- საგნების არჩევის შესახებ მოსწავლეთა კრების ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული და მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - დირექტორის ბრძანება #10 16 მაისი 2024 წელი, სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. **სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს** პირველკლასელთა ადაპტაციას, სსსმ მოსწავლის ადაპტაციას (თუმცა სკოლას ასეთი მოსწავლე ამ ეტაპზე არ ჰყავს), მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, ცალკეა გამოყოფილი საბაზო საფეხურის მოსწავლის ადაპტაცია. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა პატარაა (სასწავლო სივრცეც და კონტიგენტიც), მისი მომსახურებით სარგებლობენ ერთი პატარა სოფლის მოსწავლეები, რომლებიც ერთმანეთს და მასწავლებლებსაც კარგად იცნობენ, მეგობრობენ ოჯახებით, ამიტომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და გულითადი გარემო, რაც აადვილებს ადაპტაციის პროცესს. მოსწავლეთა სიმცირიდან გამომდინარე ადაპტაციას ახორციელებს კლასის დამრიგებელი, რომელიც კარგად იცნობს მოსწავლის პირად საქმეს, მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებს, არეგულირებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ადაპტაციას ხელს უწყობს შენობის კეთილმოწყობილი ინტერიერი და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც, რაც ადვილად თვალშისაცემია გარეშე პირისათვის. მეზობელი სოფლის სკოლიდან გადმოულმა მოსწავლემ საგანგებოდ აღნიშნა დამხვედრი კეთილგანწყობილი გარემოს მნიშვნელობა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს

დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლაში არასტანდარტული ვითარებაა - კლასში როგორც წესი ერთი მოსწავლეა და რამდენიმე მოსწავლიანი კლასები გამონაკლისია, საგნის მასწავლებლების მთელი ყურადღება მიმართულია იმ მოსწავლის მისამართით. შესაბამისად სემესტრული გამოცდის საჭიროება არ დაფიქსირებულა. წარმოდგენილი მასალებით და გასაუბრებით გამოჩნდა, რომ მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს, აღინიშნა სასწავლო ოლიმპიადებზე მოსწავლეების წარმატებული მონაწილოებაც. მოსწავლეებთან ურთიერთობა გრძელდება სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროსაც, რადგან სკოლა განათლების, კულტურისა და განვითარების ერთადერთი საშუალებაა დასახლებაში. მასწავლებლები ამაყობენ თავიანთი კურსდამთავრებულებით, რომლებმაც სკოლიდან მიღებული ცოდნით შეძლეს სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში. აქედან გამომდინარე, მოსწავლეები სკოლისგან იღებენ სათანადო მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართული არიან საგნის მასწავლებლები. სკოლაში ექსტერნის გამოცდის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას არა აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. დამატებით წრეებზე ბავშვები დადიან ქალაქ ამბროლაურში - მუსიკა, ცეკვა, თექაზე მუშაობა, ხატვა, გიტარაზე დაკვრა. წრეების დაფინანსებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი, ასევე მუნიციპალიტეტის ტრანსპორტი ემსახურება ყველა კლასის მოსწავლეს, ორივე მიმდებარე სოფლის ბავშვები - ურავის და ლიხეთის - სარგებლობენ ამ სერვისით. სოფ. ურავის სკოლასთან ჩამოივლის ტრანსპორტი და აიყვანს ბავშვებს და სოფელ ლიხეთის გავლით მიყავს ამბროლაურში. სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და ფასიანი მომსახურების შესაძლებლობა არ არსებობს. თუმცა სკოლამ გაითვალისწინა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, სადაც მათ გამოხატეს სურვილი სპორტული და არაფორმალური განათლების აქტივობების გაძლიერების შესახებ. სკოლა აღნიშნული სურვილი ასახა სკოლის მისიაში და მიზნად დაისახა სპორტული და არაფორმალური ხასიათის აქტივობების განხორციელება. ამისათვის სკოლას ხელს უწყობს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ღია სპორტული მოედანი, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორტაორია, რეკრეაციული სივრცე სკოლის წინა ეზოში).
მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმიც. თუმცა სკოლა შეზღუდულია ამ მიმართულებით სოფელში მოსწავლეთა შეზღუდული რაოდენობის გამო და მსგავსი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობას ხედავს მეზობელ სოფელთან კომუნიკაციით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მშობელთა მხრიდან შეხვედრებზე მიიღება ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი უკუკავშირები კმაყოფილების კითხვარების შევსების გზით. ძირითადად დაკვეთა მოდის არაფორმალური კუთხით სწავლების აქტივობების გაძლიერებაზე. სკოლამ წარმოადგინა კმაყოფილების კითხვარების ამსახველი მასალები - მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლებისაგან გაცემული უკუკავშირები
- მოსწავლეთა ინიციატივებით განხორციელებული ღონისძიებები

- კითხვარი - მშობელთა კმაყოფილების შესახებ
- ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დებულება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელთან „ერქვანი“. **სკოლაში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:**
1. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. სკოლამ წარმოადგინა **დამრიგებლების პორტფოლიო,** სადაც იკვეთება მე-10 კლასებში ჩატარებული ღონისძიება - გაკვეთილზე მოიწვიეს ტურიზმის თანამშრომელი, რომელიც ამავე დროს სკოლის თანამშრომელია და ჩაატარა თემატური გასაუბრება.
2. პერიოდულად ხორციელდება **მოსწავლეთა ვიზიტი კოლეჯში** - სკოლა უთანხმდება კოლეჯს ბავშვების ჩაყვანასთან დაკავშირებით და მე-5 კლასიდან ზემოთ ყველა მოსწავლე მიჰყავს სტუმრად სკოლას სიახლეების გასაცნობად. კოლეჯს აქვს - პროფესიები - სატყეო საქმე, ელექტრობა, მშენებელობის დარგები, ტრაქტორის მართვა. გასაუბრება ხდება სპეციალისტებთან. თუმცა სკოლას წელს პირველად არა ჰყავს საშუალო საფეხურის (11-12 კლასის) მოსწავლეები. 3. მოსწავლეები სკოლას დაყავს ასევე ამბროლაურის ტურისტულ ცენტრში, აკაკის მუზეუმში. 4. **სკოლის ექთანი ატარებს საუბრებს** მოსწავლეებთან ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. **2025 წელს სკოლაში მოიწვიეს ექიმი პროექტის ფარგლებში** - „ვებრძოლოთ ადიქციას“ - საუბრის თემა ჯანსაღი ცხოვრების წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება ხდება რეგიონის მასშტაბით არსებული პროფესიული სასწავლებლის - კოლეჯი „ერქვანი" პოპულარიზაცია. წარმომადგენლები ადგილზე ვიზიტის ფარგლებში აცნობენ მოსწავლეებს შეთავაზებებს. სკოლას შემუშავებული აქვს პროფორიენტაციის სამუშაო გეგმა საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მემორანდუმი კოლეჯთან
- ღონისძიებების ფოტო-ვიდეო მასალა
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სპეციალური თავი ინკლუზიური განათლების შესახებ, სადაც საუბარია სსსმ მოსწავლის სწავლების მეანიზმებზე, პრინციპებზე და პროცედურებზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში სკოლა სრუალდ ადაპტირებულია და მომზადებულია ასეთი ტიპის მოსწავლის მომსახურებისათვის.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლის მცირეკონტიგენტიანობის გამო (თითო კლასში უმეტესად ერთი მოსწავლეა) საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ არ არსებობს დამატებითი მეცადინეობისათვის შესაბამისი პირობები. სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე, საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზოს გახანგრძლივებული სწავლება და შესაბამისი მეცადინეობა ქართულ ენაში, მათემატიკასა და ინგლისურ

ენაში. სკოლაში არ არის კვების ობიექტი. მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სკოლა სპეციალირი ტაბელის მეშვეობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული **სატრანსპორტო მომსახურება** ინიცირებულია მუნიციპალიტეტის მიერ და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა აზუსტებს დეტალებს ტრანსპორტით მომსახურების საჭიროებისათვის და ინფორმაციას აწვდის სათანადო სტრუქტურებს. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციტივით **ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი „მხატვრული სივრცე“**, რომელიც საქმიანობას წარმართავს წაიანსწარ შემუშავებული გეგმის თანახმად. სკოლამ წარმოადგინა კლუბის მუშაობის ამსახველი მასალები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დამატებით მომსახურების განხორციელებისას სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტით, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით და მოსწავლეთა საუკუთესო ინტერესების დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებას - შექმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრხო გარემო.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- ლიტერატურული კლუბის მასალები
- პროექტი სამოქალაქო განათლებაში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 ივნისის N15 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ეტაპები და სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის მასწავლებლის, საგნობრივი კათედრებისა და დირექციის უფლება- მოვალეობები. მასწავლებლებისა თუ საგნობრივი კათედრების როლი ხაზგასმულია, როგორც კურიკულუმზე მუშაობის, ისე მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის მიმართულებით, რათა წახალისდეს მათი ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების პროცესი. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია დირექციის მხრიდან კურიკულუმის განვითარების პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საკითხი, ხოლო უკუკავშირის მიღების მიზნით განსაზღვრულია რამდენიმე საკომუნიკაციო არხი.

**რჩევა:** (1.) კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაემატოს დასკვნითი დებულებების თავი/მუხლი, რომელშიც განიხილება მოცემული დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის პირობები.
(2.) **სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში გაჩნდეს ჩანაწერი შემდეგი საკითხების შესახებ** - 1. კალენდარი და დღის რეჟიმი (უქმე დღეები, განრიგი, გაკვეთილის ხანგრძლივობა); 2. საათობრივი ბადე (ზოგადი დებულება, საფუძველმდებარე ბრძანება, არჩევითი საგნების ჩამონათვალი არსებობის შემთხვევაში); 3. ზოგადი დებულება საგანმანთლებლო რესურსების შესახებ, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა ყველა კლასის/დონისაა და საგნისს მიხედვით; 4. საგნობრივი კათედრებში გაერთიანებული საგნის მასწავლებლების ჩამონათვალი, კათედრის ხელმძღვანელის არჩევის ვადა, ინტენსივობა და ფორმატი, კათედრის სხდომების მინიმალური რაოდენობა და ინტენსივობა; 5. დამრიგებლის საქმიანობის პრინციპი და უფლება-მოვალეობები (ცალკეული დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში მიება დანართის სახით); 6. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი სამივე საფეხურისთვის (შეფასების მიზანი,

განმავითარებელი და განმსაზღვრელი, შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი შეფასების სახეობები და ქულათა გამოანგარიშების წესი, მოსწავლის შეფასების კომპონენტი, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, შეფასება და გაცდენები, გამოცდის ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება); 7.ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

**კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის როლი.** საგნობრივი კათედრების კრების ოქმების, სამოქმედო გეგმის დოკუმენტითა თუ მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საგნობრივი კათედრის წევრები თანხმდებიან სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების გზების, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, შესასწავლი საკითხებისა თუ სასწავლო რესურსების შესახებ. სკოლის დირექცია, მასწავლებელების მიერ წარმოებული საგნობრივი თუ სადამრიგებლო პროგრამის ანგარიშების გაცნობა-შეჯერებს გზით, კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, ჩართულია სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიური განახლების პროცესში, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. ეს უკანასკნელი სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია მასწავლებლებისა და დაწყებითი/საბაზო საფეხურიდან მშობელთა წარმომადგენლებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ინტერესის გათვალისწინების შესაძლებლობას. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული კურიკულუმის დოკუმენტი დასამტკიცებლად გადაეცემა პედაგოგიურ საბჭოს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მოცემული ჯაჭვი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და შეხედულებების მაქსიმალურ გათვალისწინებას. **სკოლა მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას ხელს უწყობს** სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდების (პრეზენტაცია, დისკუსია, ნაწარმოებისა თუ მაკეტის შექმნა), საგნობრივი თუ ინტერდისციპლინარული პროექტების, სადამრიგებლო პროგრამების, კლუბური სამუშაოსა (ლიტერატურული კლუბი - "მხატვრული სივრცე") თუ განსხვავებული მასშტაბის კონკურსების შეთავაზების გზით. **მოცემულის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ,** პედაგოგოგიური საბჭოს გასული სასწავლო წლის შემაჯამებელ სხდომაზე გამოწვევად დასახელებული არაფორმალური აქტივობებისა და კლუბების დანერგვის საკითხის, მიმდინარე სასწავლო წელს გათვალისწინების მცდელობა, როდესაც მოსწავლეებისათვის შეთავაზებულ იდეათა შორის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ შეირჩა ლიტერატურული კლუბი, რომელსაც თავად მოსწავლეებმა შეურჩიეს სახელწოდება. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთა კრების დროს მოსწავლის აკადემიური მიღწევის, უსაფრთხოების დაცვისა (მაგ. კიბერბულინგი) თუ საგნობრივი პრიორიტეტების (მეორე უცხო ენის არჩევა) ერთობლივი განხილვისა და მათი უკუკავშირის გათვალისიწნების მიზნით. ამასთან, სკოლა აწარმოებს მშობელთა კითხვარებს, რომლის შესწავლის საგანია მოსწავლეზე ორინეტირებული სწავლება, ემოციური უსაფრთხოება და მოტივაცია. **შეჯამებისთვის, სასკოლო კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინეტერესების გათვალისწინება დასტურდება მართვის დემოკრატიული ჯაჭვისა და მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობით, რაც გამოიხატება არაფორმალური აქტივობებისა თუ საგნობრივი პრიორიტეტების განსაზღვრით.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის ფორმირება წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების საერთო შეთანხმების პროცესს. საგნობრივი კათედრის წევრები თანხმდებიან საგნობრივ საკითხებზე, სწავლის მეთოდებზე, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოზე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობაზე, სასწავლო რესურსებსა და სასკოლო პროექტებზე, რაც ასახულია კურიკულუმის მეთოდოლოგიის, კათედრების ოქმებისა და სამოქმედო გეგმების დოკუმენტაციაში. საგნობრივი და სადამრიგებლო ანგარიშების, ასევე, მშობელთა კითხვარების გაცნობის საფუძველზე, დირექტორი ჩართულია კურიკულუმის განახლებისა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების პროცესში. მოცემული სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია მასწავლებლებისა და დაწყებითი/საბაზო საფეხურის მშობელთა წარმომადგენლებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობას. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული კურიკულუმის დოკუმენტი დასამტკიცებლად გადაეცემა პედაგოგიურ საბჭოს. **მასწავლებელთა ინტერვიუირების გათვალისწინებით, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის ერთკომპონენტიან შეფასების სისტემაზე გადასვლა წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მაგალითს.** ზოგადი განათლების რეფორმის განხილვის შეხვედრებზე დორექტორის მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა მასწავლებლების საინფორმაციო შეხვედრა, სადაც კითხვა-პასუხის ფორმით პრიორიტეტებისა და გამოწვევების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, შეირჩა შეფასების ახალი მოდელი. მასწავლებლების თქმით, გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მოსწავლეთა ნიშნებზე დამოკიდებულების შემცირების, დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხის ზრდისა და განმავითარებელი შეფასების როლის გაძლიერების სურვილს. მოცემული პასუხობს სამეურვეო საბჭოს გასული წლის ანგარიშში დასახელებულ, განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის გაძლიერების საჭიროების შესახებ ჩანაწერს. შესაბამისად, მიმდინარე კურიკულუმში ასახული ცვლილება წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების რეალიზებას. **სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის მაგალითია მოსწავლეების ინიციატივის გათვალისწინებით შექმნილი ლიტერატურული კლუბი "მხატვრული სივრცე".** ასევე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის VIII-IX კლასის საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლის/მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, სპორტის სათამაშო ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების აქცენტირება. სკოლის მიერ გამოყენებული მშობელთა კითხვარები თუ კრებები უზრუნველყოფს კურიკულუმში აისახოს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოტივაცია, ინტერესი, ემოციური უსაფრთხოება თუ მეორე უცხო ენის არჩევა. სასკოლო კურიკულუმი არის მასწავლებელთა გამოცდილების, მშობელთა მოლოდინებისა და მოსწავლეთა ინტერესების გაერთიანების შედეგი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

საგნობრივი კათედრები თანხმდებიან საგნობრივი კურიკულუმის ადმინისტრაციულ და შინაარსობრივ საკითხებზე, რის შემდეგაც სასკოლო კურიკულუმი დირექტორის ჩართულობით შესათანხმებლად გადაეცემა სამეურვეო საბჭოს, ხოლო შემდგომი დამტკიცებისთვის პედაგოგიურ საბჭოს. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით, **სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაზიარების**

**მიზნით შერჩეულია რამდენიმე მიმართულება, მათ შორის, სკოლის ვებ-გვერდი, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები და მშობელთა კლასობრივი თუ საერთო კრებები.** სკოლას აქვს სკოლის შინაგანაწესის, საგნობრივი კურიკულუმების, საგნობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისა და მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მშობელთა კრებაზე გაზიარების პრაქტიკა. ამასთან ერთად, სკოლის ფილოსოფიის მშობელთა საერთო კრებაზე განხილვის გამოცდილება, სადაც მშობლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრება. სკოლების პორტალის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა და ბოლო ორი აკადემიური წლის სამოქმედო გეგმები, ასევე სწავლა-სწავლების პროცესის დამხმარე და მმართველობითი პროცესების აღმწერი დოკუმენტები, როგორიც არის - შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის დოკუმენტი, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი. სკოლის პირველი სართულის შესასვლელ სივრცეში განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, სასწავლო წლის კალენდარი, გაკვეთილების განრიგი, ხოლო სამასწავლებლოს სივრცის სტენდზე, მოცემულ დოკუმენტებთან ერთად, წაროდგენილია საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ამსახველი დოკუმენტაცია. კურიკულუმის გაზიარებულობა დასტურდება მეთოდოლოგიის დოკუმენტით, კურიკულუმის შემუშავების თანამშრომლობითი პრინციპითა და ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვანი არხების არსებობით, რაც თავის თავად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში.

**რჩევა:** (1.) სასკოლო სასწავლო გეგმა განათავსოს სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. კურიკულუმის შემუშავება/განვითარების მეთოდოლოგიის ბრძანების დოკუმენტი
3. სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2025-2026
4. პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026
5. სამეურვეო საბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026
6. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (08.09.2025)
7. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6 (08.09.2025)
8. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 (25.06.2025)
9. დაწყებითი საფეხურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N1
10. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N1
11. IV კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 (16.06.2025)
12. VI კლასის მშობელთან კრების ოქმი N1 (15.09.2025)
13. IX კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 (15.09.2025)

14. მშობელთა გაერთიანებული კრება N1 (16.09.2024)
15. სკოლის პორტალი - skolebi.emis.ge
16. სკოლის სოციალური (FACEBOOK) ვებ-გვერდი
17. ლიტერატურული კლუბის სამუშაო გეგმა
18. ლიტერატურული კლუბის I სემესტრის შესრულებლი სამუშაოს ანგარიშის დოკუმენტი
19. მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარის ფორმა და შევებული კითხვარი
20. მშობელთა საგნობრივი შეფასების კითხვარის ფორმა
21. სამეურვეო საბჭოს არცევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (14.07.2025)

**1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას წარმოდგენილი აქვს I-XII კლასების საგნობრივი კურიკულუმები ბუნებისმეტყველებაში, ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს სტრუქტუირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. კურიკულუმები შედგენილია საგნობრივ სტანდარტის მიხედვით და ჩანს სავალდებულო თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები, კონტექს-მაგალითები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე, მათ საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებზე.<br>**რჩევა:** ყველა კლასის კურიკულუმი გაწერილი იყოს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით.<br><br>**დაწყებითი საფეხური ბუნებისმეტყველება:** II, III და IV კლასის კურიკულუმეში სავალდებულო თემებს ხუთივე სამიზნე ცნება შეუსაბამეთ, საკითხები გააერთიანეთ და საკითხების სვეტში გადმოიტანეთ. კონტექსტ-მაგალითში კი მხოლოდ 1-2 დატოვეთ.<br>**ქიმია: VII, VIII , IX , XII** კლასის კურუკულუმებში კომპლექსური დავალების იდეაში ჩაწერეთ საკითხი და პროდუქტი, რომელის მოსწავლეებმა უნდა შექმნან. XII კლასის კურუკულუმში სამიზნე ცნებები გადაიტანეთ სამიზნე ცნებების სვეტში, თემები კი-თემების სვეტში.<br>**ფიზიკა: VII** კლასის კურიკულუმში ჩაწერეთ სტანდარტით განსაზღვრული 4 სავალდებულო თემა და შესაბამისი სამიზნე ცნებები, **IX** კლასში- „ ფიზიკური პროცესი“ სამიზნე ცნებებში გადაიტანეთ, **XI** კლასში თემაში ,,გეომეტრიული ოპტიკა“ ოთხივე სამიზნე ცნება მუშავდება, ტექსტის სვეტში შეკითხვები წერია და ცხრილი გასასწორებელია. **XII-** ში მესამე თემაა“ ასტროფიზიკის საკითხები“ (სამყაროს ფიზიკა |

| | |
|---|---|
| | წერია), იდეაში ყველგან ჩანდეს შესაქმნელი პროდუქტი, რესურსების სვეტიდან შეკითხვები წაშალეთ და მხოლოდ რესურსები დატოვეთ.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. საზოგადოებრივი მეცნიერებების თითეული საგნის კურიკულუმში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალქეობა) გვხვდება ისეთი მრავალფეროვანი კომპლექსურ/შემოქმედებთი დავალებები, აქტივობები და რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და კვლევითი, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ  სამივე საფეხურზე წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოები გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე.  გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით,  მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა,  კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. აღსანიშნავია, X კლასში  ისწავლება  არჩევითი საგანი  _მედიაწიგნიერება, რაც  კიდევ  ერთხელ უსვამს ხაზს, კათედრას აქვს მზაობა,  ხელი  შეუწყოს მოსწავლეებში მედიაკულტურის აქტიური მონაწილეების გაზრდას.<br>**ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმები დაფუძნებულია შემოქმედებით დავალებებზე, რაც გულისხმობს სწავლების დაფუძნებას კონსტრუქტივიზმის პრინციპების შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ახალი ცოდნის დაშენება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნების საშუალებით.  შემოქმედებითი დავალებები კურიკულუმებში, უმეტესწილად, ჩაშენებულია თემების შესაბამისად. შემოქმედებითი დავალებები ხორციელდება ყოველი თემის დასრულების შემდეგ. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას, ხელს უწყობს მოსწავლეებს კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ ცოდნის კონსტრუირება, უვითარებს კრიტიკული და შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემების გადაწყვეტის უნარებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, მათი წინარე ცოდნა |

| | |
|---|---|
| | და მათ ცხოვრებისეულ გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები.<br>შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც უნდა გაიაროს მოსწავლემ გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.<br>**რჩევა:** 1. ორივე საგნის კურიკულუმებში დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ნაჩვენები იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. 2. მე-9 კლასის კურიკულუმში მეორე თემაში „კატაკლიზმები მუსიკაში" წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალება, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ესე „რატომაა მითოლოგიური თემატიკა ჩვენს დროშიც ასეთი აქტუალური"? არ შეესაბამება თემატიკას და ამოსაღებია. შეიცვლოს ისეთი დავალებით, რომელიც კორელაციაში იქნება თემასთან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას.<br>**რჩევა:** სამივე საფეხურის კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას; ლიხეთის სკოლის პედაგოგებს პრაქტიკაში კარგად აქვთ დანერგილი ურთიერთდასწრების პრაქტიკა, მკაფიო უკუკავშირით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს |

| | |
|---|---|
| | შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ.<br>**რჩევა:** სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებულია I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს და ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული ორგანიზებისთვის. კურიკულუმებში სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი სასწავლო თემები, სასწავლო მიზნები, აქტივობების დაგეგმვის პრინციპები და მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეფუძნება რეალურ ან რეალობასთან ახლოს მდგომ სიტუაციებს. ასეთი კონტექსტები მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო მასალის უკეთ გააზრებაში და აძლევს შესაძლებლობას დაინახონ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების გზები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და სწავლა-სწავლების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და პირობები. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობაზე და მათი შესრულების პროცესში მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროდუქტს, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებასა და შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებას. კურიკულუმის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია დავალებების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და დავალებების სპეციფიკის შესაბამისად და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.<br>კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ მონაწილეობაზე, ცოდნის კონსტრუირებაზე და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმი გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმა-ს მოთხოვნებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში აღნიშნულია სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ისახავს მიზნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ესგ-ით განსაზრვრულ გრძელვადიან მიზნებს საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს და შუალედურ მიზნად გაწერიალია კომპლექსური ტიპის დავალებები/პროექტები. კურიკულუმებში ყველა კომპლექსური ტიპის დავალებისთვის შერჩეულია კონტექსტ -მაგალითი და მრავალფეროვანი ელექტრონული და მატერიალური რესურსები. შუალედური მიზნის მქონე დავალებები მოსწავლეს აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის დადასტურებისა და თემაში/საკითხებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საგნობრივ კურიკულუმებში წრმოდგენილი სამიზნე ცნებები, სასწავლო თემები და მასთან დაკავშირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში იმ ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტით. როგორც კათედრასთან გასაუბრებისას, ასევე მათ მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან (მოქალაქეობის პროექტული სწავლების ფარგლებში განხორციელებული პროექტი და სასკოლო პროექტი), სასკოლო/საკლასო აქტივობებიდან და კომპლექსური დავალებებიდან, ჩანს, რომ ხდება მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში და პედაგოგები ხელს უწყობენ მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.<br>**რჩევა:** კათედრის საგნობრივ კურიკულუმებში, სამიზნე ცნებებთან ერთად მოხდეს ქვეცნებების ასახვაც, როგორც ეს შესაბამისი გრაფის სათაურშია მითითებული.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა**: 1. უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩასწორდეს სვეტის დასახელება „ტექსტი/ტექსტები“ (XII კლასის გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსად), რადგან აღნიშნულ სვეტში კათედრას ძირითადად ასახული აქვს კონტექსტ მაგალითები, აქტივობები, რესურსები. 2. ჩასწორდეს ცნებების ჩამონათვალი (ინგლისური ენა, IX კლასი). 3. აღინიშნოს, რომელი ქვეცნებებისკენ მიემართება შერჩეული შუალედური დავალებები (ინგლისური ენა, III, IX კლასები).<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები დაფუძნებულია სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ან სამინისტროს მიერ შემუშავებულ შემოქმედებით დავლებებზე და ეყრდნობა საგნობრივ სამიზნე ცნებებს, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში, კათედრა ცდილობს სასწავლო პროცესი მთლიანად ააგოს შემოქმედებით დავალებებზე, დეკლარატიული ცოდნის შემოწმება კი ხდება შემაჯამებელი დავალებებისა და სადიაგნოსტიკო ტესტების საშუალებით (2025/26 სასწავლო წელს სადიაგნოსტიკო ტესტები ხორციელდება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში). კურიკულუმში შერჩეული საკითხები დაფუძნებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოწავლეებმა უნდა დახატონ ოჯახის წევრების პორტრეტები, აღწერონ ცხოველები მათთვის ჩვეულ გარემოში (დაწყებითი საფეხური - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებით აღწერონ საკუთარი ბედნიერი დღე ან მუსიკალურად გააფორმონ ზღაპრის წინადადებები (მუსიკა, დაწყებითი საფეხური) და სხვ.; საბაზო საფეხურზე მოსწავლეებმა უნდა შექმნან პლაკატები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მე-7 კლასი), იმსჯელონ როგორ შეიძლება მუსიკით მარტოობისა და ერთობის თემატიკის გადმოცემა (მუსიკა მე-8 კლასი); საშუალო საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მათ უნდა შექმნან პროექტი, რომელიც ადგილობრივი კულტურის ძეგლების კვლევას ეყრდნობა. პედაგოგების თქმით, შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას, რაც მოსწავლეები საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევაში ეხმარებათ.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს/გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება და სიღრმისეულად აზრებინებს მასალას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. გამოვკვეთ მეცხრე კლასის მოსწავლეების მიერ განხორციელებულ შემოქმედებით პროდუქტს თემაზე: „გეომეტრიული ფიგურის ფართობი - სკვერის დაგეგმარება“, სადაც დასაგეგმი და მოსაწყობი იყო ყვავილნარი - აქ მკაფიოდ ჩანს მოსწავლეთა სიღრმისეული ცოდნა. ასევე მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო იყო მესამე კლასის კურიკულუმში გეომეტრიული ფიგურების შესახებ შემუშავებული დავალება, სადაც სახლისა და ეზოს მაკეტი უნდა შეექმნათ სივრცული ფიგურებით, რომელიც მოსწავლეებმა წარმატებით განახორციელეს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნულისასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანეთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. დავალებები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

2. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლაში საბუნებისმეტყველო მიმართულებით წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, ატლასები, ტაბულები, მოდელები, მულაჟები, სხვადასხვა ხელსაწყოები და რეაქტივები, ციფრული რესურსები და ექსპერიმენტული აქტივობებისთვის საჭირო საშუალებები. რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის და მათი გამოყენება ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას, კვლევითი მიდგომების ჩამოყალიბებას და საგნობრივი კომპეტენციების გაღრმავებას. სასწავლო რესურსები მიზანმიმართულედაა შერჩეული და გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა ჩართულობა, აქტიური მონაწილეობა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი სასწავლო რესურსი, მათ შორის, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, დამატებითი და ინტერნეტ რესურსი, უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:** კურიკულუმების სასწავლო რესურსის გრაფაში, ზუსტად დააკონკრეტდეს ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი და მიეთითოს სასწავლო თემის ფარგლებში დასამუშავებელი პარაგრაფები/გვერდები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრას აქვს შესაძლებლობა და მზაობა სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისად უზრუნველყოს მათ მიერ გაწერილ კურიკულუმში მოაზრებული შედეგების მიღწევა. უცხოურ ენებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმის ჩარჩოებში, ისევე როგორც განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ასახულია სასწავლო რესურსები.<br>**რჩევა**: ზოგ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული იქნას დამხმარე სასწავლო რესურსები. (ინგლისური, VI, IX კლასები)<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური მიმართულების საგნებში, სკოლის მიერ გადმოცემულ დოკუმენტების თანახმად, სწავ;ების პროცესში კათედრა იყენებს შემდეგ გრიფრებულ სახელმძღვანელოებს მუსიკა: I-VII კლასები - გამომცემლობა „ინტელექტი“, VIII-IX კლასები - გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - I-IV კლასები - გამომცემლობა „დიოგენე“, V- VI კლასები - გამომცემლობა „მერიდიანი“, VII-VIII კლასები - გამომცემლობა „დიოგენე“, IX კლასი - გამომცემლობა „სულაკაური“. გარდა ამისა, კათედრა მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტების მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებს, აგრეთვე ტელესკოლის ჩანაწერებს და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვებგვერდს. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისთვის შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების გათავისებას სხვადასხვა თემატურ კონტექსტში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:** მუსიკის ყველა კურიკულუმში ჩაშენებული იყოს დამატებითი რესურსების ბმულები. გარდა ამისა, გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში მითითებულ იქნას მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სახელმძღვანელოები მე-10 და მე-11 კლასებისთვის, ასევე დასამატებელია სახელმძღვანელო მე-10 კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული/შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ:<br>**1.** ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, სმარტფონი, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა;<br>**2.** კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint, Publisher), Paint/Paint 3D, WordPad, Microsoft Office 365 (OneDrive, Sway), scratch.mit.edu, code.org, Canva;<br>**3.** ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები.<br><br>კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები. რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს), მათ შორის გასაუბრებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს კურიკულუმის დანერგვისას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი კურიკულუმების თანახმად, სასწავლო პროცესი მოიაზრებს დიფერენცირებულ მიდგომებს. შემოქმედებით ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების გამოვლენა. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად აძლევენ არჩევანს მოსწავლეებს, შეასრულონ ესა თუ ის დავალება მათთვის მოხერხებული და სასურველი მეთოდებით, იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც პედაგოგები მათ სთავაზობენ. შესაბამისად მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა განსახავევბული ინტერესებისა და შემოქმედებითი უნარების წახალისებას. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლეთა დავალებების ადაპტირებაც.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ **სამივე საფეხურზე წარმ**ოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის ჩარჩოები, გაკვეთილის გეგმები, მასწავლებელთა რეფლექსიები/ანგარიშები) ირკვევა, სწავლა-სწავლების პროცესი არის ინკლუზიური. უცხოური ენის სწავლების პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები. უცხოური ენების მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სწავლის სტილს, მზაობას, ინტერესს, შესაბამისად ახდენენ როგორც დავალებების პირობის, ასევე აქტივობების მოდიფიცირებას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** კურიკულუმის ჩარჩოში, სვეტში „შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალების იდეა/პირობა" გაიწეროს დავალების პირობები (ინგლისური ენა, III -IV, X, XII კლასი);<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები და ამიტომ, ინკლუზიური სწავლება არ არის გათვალისწინებული კურიკულუმებში, თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი მიდგომები ინკლუზიური სწავლებისათვის.<br><br>პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, კლასში არის მაქსიმუმ 5 მოსწავლე და ყოველთვის ცდილობენ სწავლების პროცესი მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებას და ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას. კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კავშირი აქვთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან და წლევანდელი პირველი კლასის კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მათი რეკომენდაციებიც.<br><br>პედაგოგებმა განაცხადეს, რომ კათედრა ხშირად აწყობს ღონისძიებებს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ თვითგამოხატვა ხატვისა და ძერწვის საშუალებით, რაც აძლიერებს მოსწავლეთა ინტერესს ესთეტიკური საგნების მიმართ, ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. ასეთ ღონისძიებების რიცხვს მიეკუთვნება 1-10 კლასების ძალებით განხორციელებული სკოლის შიდა სივრცის მოწყობა, გამოფენები „ფოთოლთა ვალსი", „ყვავილების სურნელი" და სხვ.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლის საჭიროებების, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვის მიზნით მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. თემების დაგეგმვაში ჩართულია მრავალფეროვანი აქტივობები |

| | |
|---|---|
| | და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს კლასკომპლექტებთან მუშაობისას.<br><br>**რჩევა -** "დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე დაიგეგმოს და განხორციელდეს პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს საგანთაშორის ინტეგრირებას, რათა მოსწავლეებისთვის მკაფიო იყოს საგნის სწავლების საჭიროება".<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მხარდამჭერი რესურსები და დამატებითი ინსტრუქციები, როგორიცაა წინასწარ მომზადებული მასალები, შაბლონები, ტექსტის რედაქტირებაში დახმარება, დავალების შესასრულებლად დამატებითი დროის მიცემა და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეასრულონ უფრო კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც გულისხმობს დამატებითი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას (მაგ., Canva, Publisher), არგუმენტირებული მოსაზრებებისა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას, ასევე საკუთარი ნამუშევრების საჯარო წარდგენას სკოლის საზოგადოებისთვის. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებს დავალების შესრულების დროს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეარჩიონ პერსონაჟები (სპრაიტები), დაამატონ დამატებითი ელემენტები ან გააფორმონ ნამუშევარი ხმოვანი ეფექტებით, მუსიკითა და ანიმაციით. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

4. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს მოლოდინები, რომებიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კი- შედეგების ინდიკატორებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრა ხელმძღვანელობს, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებმა ნიმუშის სახით წარმოდაგინეს თითოეული საგნის ფარგლებში მისაღწვი შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით შემუშავებული შეფასების სქემა და რამდენიმე კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკა, ასევე დიაგნოსტიკური წერის ნიმუშებიც, რომელიც შესაბამისობაში მოდის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან და მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას.<br>**რჩევა:** კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა და სხვა ტიპის აქტივობებისა და კომპლექსური დავალებებისთვის, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ერთი თემის ფარგლებში გაწერილ შუალედურ მიზნებზე, ასევე ზოგადი რუბრიკები, როგორიცაა პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის რუბრიკა, მოსმენის, ლაპარაკის, შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების სქემები და ა.შ. ნათლად ჩანს, კათედრას აქვს მზაობა, განახორციელოს შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>**რჩევა:** შემაჯამებელი შეფასების განმსაზღვრელ რუბრიკებში დაზუსტდეს დავალების პირობები (ინგლისური ენა, IX კლასი).<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლა მცირე კონტიგენტიანია, ამიტომ ესთეტიკური აღზრდის საგნები შედის დაწყებითი საფეხურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაში. კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებების ნიმუშები. ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი შეფასება მოცემულია სამივე საფეხურისთვის. განმსაზღვრელი შეფასებები ორივე საგნისთვის მოცემულია როგორც დაწყებითი (მე-6 კლასი), ასევე საშუალო (მე-9 კლასი) საფეხურისთვის, რომელთა მეშვეობითაც მოწმდება, თუ როგორ მოხდა მოსწავლეთა მიერ ცნებებისა და ქვეცნებების გათავისება სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებისა და სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (მე-9 კლასი) იგეგმება სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარება, ტარდება შემაჯამებელი დავალებები მუსიკაშიც. ესგ-ს შესაბამისად, არსებული შეფასების სისტემის მეშვეობით შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა, მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი, მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ისინი თავადაც ერთვებიან შეფასების პროცესში. კათედრის წევრები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. სახელმწიფო ენის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე და მოიცავს როგორც ფორმურ, ისე არაფორმალურ და შემაჯამებელ კომპონენტებს. სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების რუბრიკები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები) უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. ასევე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკები აგებულია ოთხდონიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების დონეებთან (მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, დაბალი). შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილია დაწყებითი კლასების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლებიც ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი
2. შემაჯამებელი დავალებებიაა და წერის ანალიზების ნიმუშები (მათ შორის, შეფასების რუბრიკით)
3. დამატებითი სასწავლო რესურსები მათემატიკაში
4. შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები
5. მოსწავლეთა ურთიერთშეფასების ფორმა
6. მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმა
7. კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;
8. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები
9. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი კურიკულუმები;
10. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმა
11. განმსაზღვრელი შეფასება VI და IX კლასის მუსიკასა და ხელოვნებაში
12. I, II-III და V კლასის განმავითარებელი კომენტარი ხელოვნებაში;
13. დიფერენცირებული სწავლების ამსახველი მასალა;
14. რჩევითი საგნის_ „მედიაწიგნიერება“ _კურიკულუმის ჩარჩო ( X კლასი)
15. მოსწავლეების ნამუშევრების ამსახველი ფოტო-მასალა (გერმანული ენა-V, VII , VIII კლასი)
16. VII და X კლასის შექმნილი პროდუქტი ხელოვნებაში;
17. ჩატარებული გაკვეთილის თვითშეფასება ( ბუნებისმეტყველება VI კლასი)
18. ინტეგრირებული გაკვეთილი ( ქიმია-ფიზიკა X კლასი)
19. შევსებული რუბრიკა - პროექტი ხელოვნება X კლასI
20. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი (დაწყენითი საფეხური, გერმანული ენა)
21. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცება;
22. ღონისძიებების ლინკები;
23. IX შემაჯამებელი - მუსიკა;
24. მშობელთა კრების ოქმები
25. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების ანგარიშები
26. კურიკულუმის დანერგვის ჩეკლისტი;

27. კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები
28. დაწყებითი საფეხურის კათედრის სამოქმედო გეგმა;
29. დანართი - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
30. გაკვეთილის გეგმა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მე-8 კლასი.
31. საგნობრივი კათედრების ოქმები (მათ შორის, N1 და შემაჯამაბელი ოქმი)
32. ქართული, უცხოური ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #1 ( 03.09.2025) და #6 (17.06.2025)
33. IV კლასის მშობელთა კრების ოქმი (მეორე უცხოური ენის შერჩევის თაობაზე)
34. მასწავლებელთა, საგნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიშები
35. მოქალაქეობის პროექტული სწავლების ფარგლებში განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია
36. პროექტი-კურიკულუმი მუსიკაში XI კლასი (შეფასება თან ერთვის კურიკულუმს);
37. I კლასის მოსწავლეთა განმავითარებელი კომენტარი სასწავლო საგნების მიხედვით 2025-2026 სასწავლო წელი;
38. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას, შუალედურ მიზანზე მორგებული
39. შემოქმედებითი დავალებების ბარათები, განხორციელების ეტაპების მასალები, პროდუქტები, მასწავლებლის უკუკავშირი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| ***დაწყებითი საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***საბაზო საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***საშუალო საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასკოლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემებში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ამის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებებისა და პროექტების პროდუქტები, გეგმები, შეფასებები და რეფლექსიები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის; გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებულ კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში; ასევე კომპლექსური დავალებები და საკლასო აქტივობები სრულად ასახავს და ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევი შედეგების ინდიკატორებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, შესაძლოა მცირედი მოდიფიცირება, საჭიროებიდან გამომდინარე. **რჩევა:** კათედრის უფრო აქტიური მუშაობა საგნობრივი კურიკულუმების ერთობლივად შემუშავებასა და განხილვაში, რათა მოხდეს აღნიშნული დოკუმენტაციის ერთიან ჩარჩოზე შეთანხმება (მაგ: ზოგიერთ კურიკულუმში გათვალისწინებულია მხოლოდ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ზოგან კი, ასევე გვხვდება თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორებიც). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები პირველი და მეორე უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად და ესთეტიკის მიმართულების ორივე საგანში სწავლება მიმდინარეობს შემოქმედებითი დავალებებზე დაყრდნობით. სწავლების პროცესში ხდება მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგი სადიაგნოსტიკო (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში) და შემაჯამებელი |

| | |
|---|---|
| | ტესტების საშუალებით. ტესტირების შემდეგ პედაგოგები აანალიზებენ მიღებული შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ახდენენ კურიკულუმის მოდიფიცირებას. აღნიშნულ პროცესებს აკონტროლებს სკოლაში დანერგილი კურიკულუმის მონიტორინგის მექანიზმები.<br><br>**რჩევა:** მუსიკის მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია სახელმძღვანელოებსა და სამინისტროს რესურსებში მოცემული ყველა შემოქმედებითი დავალება. მოსწავლეებს ყველა ამ დავალების განხორციელება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში გაუჭირდებათ. მუსიკის კურიკულუმებში შევიდეს 3-4 შემოქმედებითი დავალება, ანუ მხოლოდ ის რაოდენობა, როემლთა შესრულებაც რეალურია ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი კარგად არის დაგეგმილი და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან; მნიშვნელოვანია, რომ კათედრის შემაჯამებელი ოქმის პრიორიტეტულ საკითხად დასმულია კურიკულუმების ანალიზი - რაც პედაგოგებს ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ გასცემს კითხვაზე პასუხს - სასწავლო პროცესი იყო თუ არა დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და რა შედეგზე გავიდნენ, რა ცვლილებებია საჭირო საერთო მიზნის წარმატებით მისაღწევად.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში  (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას  სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და  კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში  სასკოლო აქტივობების გარდა<br>(რომელიცაა შიდასასკოლო  ფესტივალები და  კონფერენციები), სკოლის |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. მასწავლებელს ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალება, თავის პირობითა და შეფასების რუბრიკით, როგორც ეს ესგ-ს მიხედვითაა განსაზღვრული. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, V კლასში დაგეგმილი შუალედური მიზნის მისაღწევი დავალება არის კომპლექსური ტიპის, ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და განმავითარებელ შეფასებას, რაც შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. ასევე წარმოდგენილია VI კლასისთვის დაგეგმილი შუალედური მიზნის მისაღწევი დავალება, რომელიც არის კომპლექსური ტიპის, ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და მოიცავს განმსაზღვრელ შეფასებას, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებს. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნას. მასწავლებელს ასევე წარმოდგენილი აქვს V კლასის მეორე სემესტრის შემაჯამებელი დავალების პირობა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა. მასწავლებელი ვალდებულია ჩაატაროს შემაჯამებელი წერები და შეაფასოს მოსწავლეთა ნამუშევრები. წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების თემა შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო თემასთან, ხოლო შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტური რეაგირებისთვის შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მიმდინარე პერიოდში სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტის შემადგენელი კომპონენტები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებისა და კლასიდან კლასში გადასვლის პრინციპები, ასევე მოსწავლის უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშემწყობი პირობები (მაგ. რესურს ოთახი, მასწავლებლების მიერ ალტერნატიული აქტივობების შემუშავება, მულტიმოდალური სწავლების პრინციპზე დაყრდნობით ვიზუალური თვალსაჩინოებების გამოყენება, ინვენტარი, მოძრავი პანდუსის გამოყენება). მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში ეფექტური ჩართულობის მხარდამჭერ წინაპირობას წარმოადგენს მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და ფლობს სპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმების უფლებას. მოსწავლეთა ჩართულობის წახალისების გზით, მოსწავლეთა საჭიროებების თანმიმდევრული იდენტიფიცირებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის N74 ბრძანების საფუძველზე შემუშავებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც მოიაზრებს ინიციატივის წარდგენის ფორმას, მიმღებ პირებსა და ინიციატივის მხარდამჭერ პროცესს (მაგ. ინიციატივის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, სპეციალური სამუშაო სივრცის გამოყოფისა და საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერა). მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისა და ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის მიზნით დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N10 ბრძანების საფუძველზე სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც გულისხმობს პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსულ და სასწავლო გარემოში ჩართულობის სირთულის მქონე მოსწავლეთა ხელშეწყობის პროცედურას. მიმდინარე პერიოდში სკოლაში არ ირიცხება საშუალო საფეხურის მოსწავლე, თუმცა ამავე მუნიციპალიტეტის კოლეჯთან სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროცესის დროული და ეფექტური ხელშეწყობის მიზნით. სკოლა ავლენს მოქნილობას საგანამანთლებლო საჭიროებებზე რეაგირების პროცესში, რაც დასტურდება, რემედიაციის პროგრამის მიმდინარე საჭიროების არარსებობის მიუხედავად 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში მისი ამოქმედების მექანიზმის გაწერით. ასევე, ინტერვიუს დროს აღწერილი პრაქტიკით, რომ საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებლის მშობელთან შეთანხმების საფუძველზე კვირაში ერთი ან ორი დღე ინიშნება დამატებითი შეხვედრა. სკოლის დეკლარირებული თუ მოქმედი პრაქტიკა მიგვითითებს სკოლის ეფექტური რეაგირების შესაძლებლობაზე.

**რჩევა:** (1.) სკოლამ შექმნას დოკუმენტი ან სასკოლო სასწავლო გეგმაში “ინკლუზიური განათლების” ქვეთავში გაწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პირობებს, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრების უფლება-მოვალეობებსა და ჯგუფის საქმიანობის პროცედურას. (2.) სკოლამ შექმნას დოკუმენტი ან სასკოლო სასწავლო გეგმაში “ინკლუზიური განათლების” ქვეთავში გაწეროს სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სწავლასთან

დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების, სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის პროცედურას. (3.) მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტში გაჩნდეს ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირების ან სტრუქტურული ერთეულის შესახებ ჩანაწერი. (4.) ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტში დააკონკრეტოს ინიციატივების მხარდაჭერის მიზანი/ამოცანა და დაინტერესებული პირების მიერ დაყენებული ინიციატივის თაობაზე სკოლის დირექციის მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის პროცედურა. (5.) სკოლამ შექმნას რემედიაციის პროგრამით მუშაობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს, პროგრამის განხორციელების საფეხურებსა და ვადებს, პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია-მოვალეობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

### 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ნაშრომი, ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სქემები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული საკითხებისათვის. შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით , უცხოური ენების მიერ განხორციელებული შეფასებები არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრამ სწავლების ყველა საფეხურისთვის წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეთათვის ცნობილია და გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებულნი არიან მშობლებიც. სკოლაში შექმნილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. კათედრის მიერ ნაჩვენები დოკუმენტების, სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან |

| | |
|---|---|
| | გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგები კათედრაზე მოქმედებს ურთიერთდაკვირვების ინსტიტუტი, სკოლაში მოქმედებს მახრდაჭერისა და ხარისხის ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრავენ მასწავლებელთა საჭიროებას და გასცემენ უკუკავშირს. გარდა ამისა, მასწავლებლები სისტემატიურად მიმართავენ თვითშეფასებას. შემოქმედებითი დავალებების შეფასება ხდება ცნებებზე ორიენტირებული კრიტერიუმების საშუალებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეები ფასდებიან შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელებზეც ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულნი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. გამოყენებულია მრავალმხრივი შეფასების ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და პროგრესის სრულფასოვან ასახვას. შეფასება ასევე მოიცავს განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ზრდის სწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებშიც მკაფიოდ ჩანს, რომ წინასწარ (დავალების შესრულებამდე) მოსწავლეს სრულფასივანი ინფორმაცია მიეწოდება შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად ხაზგასასმელია სადიაგნოსტიკო წერები ყველა საფეხურზე, დეტალური ანალიზითა და უკუკავშირით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი და ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფორმით (საკლასო ოთახშია გამოკრული, მასწავლებელი აცნობს/მიმოიხილავს დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე). ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. შეფასების ინსტრუმენტები აგებულია ოთხდონიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების დონეებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების თანმიმდევრულ და სტრუქტურირებულ შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების რუბრიკები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება) ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლი დირექტორის 2025 წლის 13 იანვრის N01 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების პრინციპებს, ვერიფიკაციის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, მონაწილე პირებს, ვერიფიკაციის ფორმებს, ინსტრუმენტებსა და კრიტერიუმებს. შეფასების ვერიფიკაციის პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტის ფორმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ. ვერიფიკაციის ინსტრუმენტის ფორმაში ვკითხულობთ, რომ შეირჩევა ყველა მოსწავლის ნაშრომი. სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირების მზაობას მიუთითებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პირველი სემესტრის ანგარიშის ჩანაწერი და საგნობრივი კათედრის დადგენილება ვერიფიკატორების, სამიზნე საგნებისა და კლასების შესახებ. მასწავლებელთა თქმით, შემაჯამებელი დავალების შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებს ეცნობა ზეპირსიტყვიერად და შესაბამის გაკვეთილზე დაფაზე გამოკვრის გზით.

**რჩევა:** (1.) ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტით განისაზღვროს შერჩევის სტრატეგია (მაგ. გენდერული გადანაწილება, მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომების თანაფარდობა, შერჩევის შემთხვევითობა, კლასის საერთო რაოდენობის ნაშრომების რამდენი პროცენტი გამოიყენება ვერიფიკაციისთვის ან სხვა). (2.) ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების არანაკლებ 3 წლის ვადით სათანადო აღრიცხვისა და შენახვის თაობაზე. (3.) მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთი საკითხი შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განვითარება იქნება (მაგ. საგნებში, სადაც სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს „მეგობარი“ სკოლის მასწავლებელი).

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას გააჩნია პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეყრდნობა 2013 წლის 22 აგვისტოს 113/ნ ბრძანებას, რომლის მიხედვით სკოლაში მოსწავლის პირადი საქმეები დაცულ ადგილას, მატერიალური ფორმით შეინახება 75 წლის ვადით, დამრიგებლისთვის წვდომის უფლების მინიჭებით. შესაბამისად, პირად საქმეში შეტანილი მოსწავლის აკადემიური მოსწრება, წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და სხვა მონაცემები პირადი საქმის შენახვის ვადით შეინახება. სამივე საფეხურის კურიკულუმში იკითხება შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადოდ აღრიცხვისა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის შესახებ ჩანაწერი. დირექტორთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეების პირადი საქმეები ინახება მის კაბინეტში განთავსებულ კარადაში, ხოლო სკოლა დამთავრებულ მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დირექტორის პირად პასუხისმგებლობაში არსებულ ბიბლიოთეკასთან მდებარე კაბინეტში. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერით სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მის ხელთ არსებული მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## დასტურდება (მტკიცებულებები):

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი 2025-2026 წწ.
2. განმავითარებელი  და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
3. მოსწავლეთა ურთიერთშეფასების ფორმა;
4. მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმა;
5. მოსწავლეთა ნამუშევრების  შეფასების  ნიმუშები  გერმანულ ენაში  (განმავითარებელი, განმსაზღვრელი)
6. კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების ბარათების ნიმუშები, შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები
7. შემაჯამებელი დავალებებისა და  წერის ანალიზის ნიმუშები (მათემატიკა, უცხოური ენები, მუსიკა IX, ინფორაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები)
8. დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები და ანგარიშები
9. შემოქმედებითი პროდუქტის ბარათი მათემატიკაში
10. კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები
11. მშობელთა კრების ოქმები
12. მასწავლებელთა, საგნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანგარიშები;
13. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის შემაჯამებელი ოქმი
14. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ურთიერთდასწრების ანგარიში
15. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
16. VI, VIII და IX კლასის შემაჯამებელი დავალებების შეფასების ვერიფიკაციის მასალა
17. დაწყებითი, ესთეტიური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N2  (11.11.2025)
18. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N1 და  N2 (12.11.2025)
19. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების I სემესტრის მონიტორინგის ანგარიში
20. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
21. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი
22. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი კურიკულუმები
23. განმსაზღვრელი შეფასება VI და IX კლასის მუსიკასა და ხელოვნებაში;
24. შევსებული რუბრიკა - პროექტი ხელოვნება X კლასი
25. პროექტი - კურიკულუმი მუსიკაში XI კლასი (შეფასება თან ერთვის კურიკულუმს);
26. VII და X კლასის შექმნილი პროდუქტი ხელოვნებაში;
27. I კლასის მოსწავლეთა განმავითარებელი კომენტარი სასწავლო საგნების მიხედვით 2025-2026 სასწავლო წელი;
28. I, II-III  და V კლასის განმავითარებელი კომენტარი ხელოვნებაში;
29. დაწყებითი საფეხურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ოქმები;
30. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა - სავალდებულო;
31. დანართი - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
32. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცება;

33. კურიკულუმის დანერგვის ჩეკლისტი;
34. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - მე-8 კლასში ჩატარებული გაკვეთილის თვითშეფასება;
35. დანართი 1 - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
36. დაწყებითი კათედრის პორტფოლიო;
37. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ანალიზი;
38. კურიკულუმის ანალიზი 2024-2025 სასწავლო წელი ხელოვნება;
39. დაწყებითი - კათედრის სამოქმედო გეგმა.
40. გაკვეთილის გეგმა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მე-8 კლასი;
41. მხარდაჭერის ჯგუფი - უკუკავშირი (საბაზო საფეხური, სადაც მოცემულია ხელოვნების მე-8 კლასის შემოქმედებითი დავალების უკუკავშირი);
42. შემოქმედებითი დავალებების ბარათები, განხორციელების ეტაპების მასალები,პროდუქტები, მასწავლებლის უკუკავშირი
43. მასწავლებლებთან და დირექტორთან გასაუბრება

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლაში საბუნებისმეტყველო მიმართულებით სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით. სასწავლო პროცესში გამოიყენება სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევები, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-სა და საგნობრივ კურიკულუმებს. პედაგოგები დამხმარე რესურსებად იყენებენ ენციკლოპედიებსს, ატლასებს, PP პრეზენტაციებს, ცხრილებს. ტელესკოლისა და ხანის აკადემიის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიას, მოდელებს, ტაბულებს, რეაქტივებსა და ხელსაწყოებს. აღნიშნული რესურსები გამოიყენება თეორიული მასალის უკეთ გასააზრებლად, ექსპერიმენტული და კვლევითი აქტივობების განხორციელებისთვის, ასევე მოსწავლეთა დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. სასწავლო რესურსების გამოყენება ხელს უწყობს ინტერაქტიულ სწავლებასა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას. მასწავლებლები რესურსებს მიზნობრივად არჩევენ გაკვეთილის მიზნების, თემის სპეციფიკისა და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და სწავლის შედეგების მოღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითდი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე სხვა და სხვა ტიპის შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების შესასრულებლად გათვალისწინებულია დამატებითი სასწავლო რესურსი, მათ შორის ინტერნეტ რესურსიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, უცხოური ენების მიერ შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი საფეხურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ პირველივე სხდომაზე (ოქმი#1) მოხდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა. გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი მოცემულია როგორც ცალკე დოკუმენტში, ასევე დაწყებითი კათედრის პორტფოლიოში, სადაც დამატებულია დამხმარე რესურსების სია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. გრიფირებული სახელმძღვანელოების თემების/საკითხების შესაბამისი გვერდები და თემებთან/საკითხებთან კორელაციის მქონე დამხმარე რესურსების ბმულები მოცემულია ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებში. გარდა ამისა, ამავე საგნებში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები და მე-8 კლასის გაკვეთილის გეგმა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თემაზე „ადამიანი ხელოვნებაში - ,,რად მიყვარს ჩემი სამშობლო “ მოწმობს, რომ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული / შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას; ციფრული რესურსების გამოყენება სკოლის მომავალ მიზნებში პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, |

| | |
|---|---|
| | კათედრა შემაჯამებელ ოქმშიც განიხილავს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას მოსწავლეთა მოტივირების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა **school.emis.ge**, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა **YouTube**, ინტერნეტის საძიებო სისტემები და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: **Microsoft Office** პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint, Publisher), **Paint / Paint 3D**, **WordPad**, ასევე **Microsoft Office 365** გარემოში (OneDrive, Sway). პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმები, როგორიცაა **Scratch** (scratch.mit.edu) და **Code.org**. დიზაინისა და ვიზუალური მასალის შესაქმნელად მოსწავლეები იყენებენ პლატფორმას **Canva**. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა რეგულარურად ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების შინაარსობრივ, მეთოდურ და პრაქტიკულ შემოწმებას, რათა ისინი შესაბამისი იყოს კურიკულუმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან, საჭიროების შემთხვევაში რესურსები განახლდება და ადაპტირდება, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ვალიდაციის პროცესში მონაწილეობენ პედაგოგები და ადმინისტრაცია.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრა საჭიროებებიდან გამომდინარე (კომპლექსური დავალებების, სხვა და სხვა საკლასო აქტივობების და ა.შ. გათვალისწინებით) ერთობლივად შეიმუშავებს დამხმარე სასწავლო რესურსს და ახდენს მის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საფეხურზე შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსები ემსახურება კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფილია მათი ვალიდურობა.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სიღრმისეული, სახალისო, მრავალფეროვანი სწავლების დანერგვის მიზნით კათედრისთვის მნიშვნელოვანია დამხმარე სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა და საგაკვეთილო პროცესში მათი აქტიური გამოყენება. მასწავლებლები ცდილობენ მრავალფეროვანი აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენებას (მაგალითად, კურიკულუმებში მოცემულია ტელესკოლის ბმულები, ორივე საგნის მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ სამინისტროს მიერ შექმნილ დამხმარე მასალას). დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის სხდომებზე ძირითადი რესურსის შერჩევასთან ერთად. კერძოდ, კათედრის მიერ 2025 წლის 4 სექტემბერს ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმიდან (ოქმი#1) ჩანს, რომ სხდომაზე გატანილ იქნა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვისა და დამხმარე სასწავლო |

| | |
|---|---|
| | რესურსების ვალიდაციის საკითხი (საკითხი 4). სხდომაზე კათედრის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ იქნა დამხმარე რესურსების ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა პედაგოგის მიერ. კათედრის მიერ შერჩეული ვალიდაციის კრიტერიუმების შესაბამისად, კურიკულუმებში ლინკების სახით წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები შინაარსობრივად გამართულია, შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს, სანდო და უსაფრთხოა, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან დისკრედიტაციულ ელემენტებს.<br>**რჩევა:** მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენებული იყოს სამინისტროს მიერ შექმნილი მასალების ბმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსებს მასწავლებლები არჩევენ კათედრაზე. გამოიყენება ისეთი მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევისა და გამოყენების პროცესი ვალიდაციის ეტაპს გადის. არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების შინაარსობრივ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივ სტანდარტებთან და ასაკობრივ თავისებურებებთან. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი აქტიკური ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. განსკუთრებით აქტიურად არის კურიკულუმებში განსაზღვრული ხანის აკადემიის, ტელესკოლის, იუთუბის ელექტრონული რესურსები დასახული მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით ჩანს, რომ სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელ. რესურსი. კერძოდ; school.emis.ge. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული ძირითადი რესურსი არის ვალიდური (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). რაც შეეხება დამხმარე სასწავლო რესურსებს, სკოლის მიერ განსაზღვრულია მისი ვალიდაციის კრიტერიუმები, კერძოდ: სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა, სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობა, სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა.<br>ხოლო მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების შექმნის შემთხვევაში სკოლა თითოეულ მასწავლებელმა ავალდებულებს გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები: |

| | |
|---|---|
| | **1.** განსაზღვროს რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას;<br>**2.** დადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის;<br>**3.** რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი.<br>შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმები და შეუძლია უზრუნველყოს ამ რესურსების ვალიდაცია.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული რესურსებისა და კონტექსტმაგალითების სვეტი ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე შერჩეული რესურსები შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მუდმივად ცდილობენ რესურსების განახლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლამ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის დამატებით შეიძინა სხვადასხვა რეაქტივები, მულაჟები, მიკროსკოპის მუდმივი პრეპარატები და სხვა. რომელთა გამოყენებითაც ნაწილობრივ უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს მიღებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსაგან. სკოლამ წერილობით ითხოვა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსაგან მხარდაჭერა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობაში, თუმცა სამინისტროსაგან მიღებულ საპასუხო წერილში იკითხება, რომ მცირეკონტიგენტიანი სკოლების უზრუნველყოფის საკითხი განიხილება მომდევნო ეტაპზე. |

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს 1 წლის ვადაში (01.02. 2026 - 01. 02. 2027) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვას საჭირო მატერიალური რესურსით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია და ეტაპობრივად ხორციელდება რესურსების შეძენა, სასწავლო პროცესში ინტეგრირება და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. ამ ეტაპზე რესურსები წარმოდგენილია ნაწილობრივ, რაც განსაკუთრებით ზღუდავს საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, სიღრმისეული სწავლებისა და კვლევითი უნარების განვითარებას. სკოლა უზრუნველყოს არსებული რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, უსაფრთხოების წესების დაცვასა და მათ ხელმისაწვდომლობას მოსწავლეთათვის. აღნიშნული პროცესი მიუთითებს, რომ სკოლა სწორად გეგმავს და ახორციელებს რესურსებით უზრუნველყოფას და მიდის სრული შესაბამისობის მიღწევისკენ.<br><br>**რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 01.02.2027წ.<br>**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე შესაძლებელია იმ მატერიალური რესურსების გამოყენება, რომელიც განსაზღვრულია კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების სრულყოფილად მისაღწევად.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ, სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, პედაგოგებს საშუალება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერები და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ისარგებლონ კომპიუტერული კლასით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წვდომას დამატებით საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის საგნებისათვის, რადგან აუდიო-ვიდეო აპარატურისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებასა და ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული |

| | |
|---|---|
| | რაოდენობის გათვალისწინებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ რესურსთა სრულყოფილმა კომპლექტაციით, რომელიც ემთხვევა კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სკოლაში საგანმანათლებლო გარემო მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება რეკომენდებულ ზღვარს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომებსა და ხარისხიან სასწავლო პროცესს. რესურსების ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების რეალიზაციას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯით აღჭურვილი კეთილმოწყობილი და გარემონტებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული 6 პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა გამოიყენება პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იმუშაონ პროგრამებსა და ვებ-ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრული ადგილების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს **19** თანამშრომელი, მათ შორის **11** მასწავლებელი. მასწავლებელთა შორის ერთი პირი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე (ქართული ენა და ლიტერატურა), ხოლო უმრავლესობას აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. მათ შორის ერთ-ერთი მასწავლებელი საქმიანობს მოწვეულ მასწავლებლად (გეოგრაფია). ერთ-ერთი პირი არის მასწავლებლობის მაძიებელი. აღნიშნულის გარდა სკოლაში დასაქმებულია 9 პირი (მათ შორის ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი). მიმდინარე პერიოდში სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, შესაბამისად სკოლას სპეციალური მასწავლებელის პოზიციაზე დასაქმებული პირი არ ჰყავს. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. *სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისად. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას, პერსონალის პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლის გეოგრაფიული მდებარეობისა და ქვეყანაში არსებული ინტენსიური ურბანიზაციის გამო, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.*
ზემოთ მოცემული მიზეზების გათვალისწინებით სკოლას უჭირს კვალიფიციური კადრების მოზიდვა, რასაც ადასტურებს მიმდინარე სასწავლო წელს ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველების, მუსიკისა და ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ორჯერ ჩაშლილი ღია კონკურსის პროცესი. მიუხედავად ამისა, სკოლა ყველა რესურსით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესს, მასწავლებელთა შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის გზით. სკოლა ეფექტურად იყენებს მომიჯნავე დისციპლინის მასწავლებელთა რესურსს, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის ფარგლებში, ისტორიისა და გეოგრაფიის კვალიფიციური მასწავლებლები, უძღვებიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოსა და სამოქალაქო განათლების საგნებს. ასევე, მასწავლებლობის მაძიებელი პირი ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიისა და ტექნოლოგიების სწავლების პარალელურად სწავლობს მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. სკოლა მიმდინარე წელს აწარმოებს პედაგოგთა მორიგეობის განრიგს, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. მიმდინარე წელს განხორციელებული პროექტი - "ერთად მშვიდობიანი თანაარსებობისთვის", რომელიც თანაბარი უფლებების მნიშვნელობის გაცნობიერების, ტოლერანტობისა და გლობალური მოქალაქეობის იდეის ჩამოყალიბების მხარდაჭერას ემსახურება, თავის მხრივ კვლიფიციური და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალის მხარდაჭერის მაგალითია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. სკოლის შინაგანაწესი
2. პერსონალის პირადი საქმეები
3. პერსონალის ხელშეკრულებები

4. შემაჯამებელი წერის ანალიზი მათემატიკაში
5. სადიაგნოსტიკო წერის ანალიზი მათემატიკაში
6. დამატებითი სასწავლო რესურსები მათემატიკაში
7. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
8. კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები
9. გერმანული ენის მასწავლებლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ
10. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
11. საბუნებიმეტყველო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტი N1
12. შემოქმედებითი პროდუქტის ბარათი მათემატიკაში
13. კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები, ასევე შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები
14. მოსწავლეების ნამუშევრების ამსახველი ფოტომასალა
15. სასკოლო სასწავლო გეგმის 2025-2026 სასწავლო წლის დოკუმენტი
16. მასწავლებეთა მორიგეობის განრიგი 2025-2026
17. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
18. სკოლის საშტატო და ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა
19. საგნობრივი კათედრების ოქმები (მათ შორის, სხდომის ოქმი N1 და შემაჯამებელი სხდომის ოქმები)
20. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო  გეგმა (2025-2026 სასწ.წელი)
21. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ურთიერთდასწრების ანგარიში
22. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი კურიკულუმები
23. დაწყებითი კათედრის პორტფოლიო 2025 წლის I სემესტრი
24. VII და Xკლასის შექმნილი პროდუქტი ხელოვნებაში;
25. გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
26. განხორციელებული  დავალების  განმავითარებელი  შეფასების  ნიმუშები (გერმანული  ენა)
27. კლასების, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიის, რეურსებისა და ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა
28. გაკვეთილის მასალები - ხელოვნება VIII კლასი.
29. დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების ნუსხა;
30. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი;
31. განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები და  შეფასების  რუბრიკები შუალედური მიზნებისთვის
32. “ერთად მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“ სასკოლო პროექტის ანგარიში
33. ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბმულების ნუსხა.
34. ბუნებისმეტყველების მასწავლებლის შესარჩევი ღია კონკურსის კომისიის სხდომის ოქმი (09.09.2025)
35. ბიოლოგიის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მუსიკის მასწავლებლის შესარჩევი ღია კონკურსის კომისიის სხდომის ოქმები (08.09.2025)
36. **სკოლის წერილი სამინისტროს საბუნებისმეტყევლო ლაბორატორიის აღჭურვაში მხარდაჭერის შესახებ 26.12.2025წ.**
37. **განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პასუხი სკოლას 12.02.2026წ.**

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| ***დაწყებითი საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***საბაზო საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***საშუალო საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ **შესაბამება**<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შესაბამება<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შესაბამება<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინება. დოკუმენტში ვკითხულობთ ჩართული მხარეების (მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელი, დირექცია) უფლება-მოვალეობების, მონიტორინგის პროცესის სიხშირისა და ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციას. მოსწავლეების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზი. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისათვის მოქმედებს საგნობრივი კათედრის პორტფოლიოს, საგნობრივი ანგარიშების, კურიკულუმის ანალიზების, თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესის დაკვირვების წარმოების პრაქტიკა. სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, კურიკულუმის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, იწარმოება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური მონიტორინგი, ხოლო სამეურვეო საბჭოს წარედგინება სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისა და დირექტორის ანგარიშები. სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების მიხედვით განისაზღვრა სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია შეფასების მიმართულებები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები და პროცედურა. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლამ აწარმოა კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ე.წ. “ჩეკლისტი”, რომლის შედეგების შეფასებისას განხილულ იქნა სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტის ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის, არაფორმალური განათლების პრაქტიკის, შეფასების პროცესისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის საკითხები. სკოლამ წარმოადგინა თვითშეფასებისა და ხარისხის განვითარების მხარდაჭერი ჯგუფის შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელთა ნაწილში იკითხება მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი მხარის აღწერა და რეკომენდაციები. სკოლას მშობლების უკუკავშირის მისაღებად შექმნილი აქვს ორი სახით კითხვარის ფორმა: 1. ზოგადი დამოკიდებულებისა და ამა თუ იმ ცვლილების საჭიროების გამოვლენის მიზნით; 2. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის აკადემიური დიაგნოსტიკის, მოტივაციის განვითარების, სწავლების მეთოდების, კლასის მართვისა და მშობლებთან ურთიერთობის პრაქტიკის შესასწავლად. სკოლას აქვს სასკოლო პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა სოციო-ემოციური სფეროსა და სასკოლო ცხოვრების გამოცდილების შეფასების კითხვარის შექმნის გამოცდილება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე წარმოდგენილია კავშირი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასა და სკოლის დაგეგმილ თუ არსებულ პრაქტიკასთან. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები (კითხვარები, ანგარიშები) უზრუნველყოფს პროცესში ჩართული ყველა მხარის უკუკავშირის გაზიარების პროცესს.

**რჩევა:** (1.) ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში სისტემურად მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მონიტორინგი წარიმართება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის მიზნით. კათედრის სხდომაზე მიმდინარეობს მასწავლებლებლების ურთიერთდასწრებისა და მხარდამჭერი ჯგუფის დასწრებისა გეგმის, ასევე შეფასების სისტემის განხილვა. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების, შემაჯამებელი დავალებების შედეგებისა თუ დიაგნოსტიკური წერების ანალიზის საფუძველზე ახდენენ მოსწავლეთა მიღწევის დიაგნოსტირებას. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება წარმოადგენს მიმდინარე პერიოდში მოსწავლისთვის დამატებითი მეცადინეობის დანიშვნის ან/და საგნობრივი კურიკულუმების განახლების საფუძველს. საგნობრივი კურიკულუმების შეფასების რუბრიკა მიმართულია კონკრეტულ საგანში სასწავლო მიზნების რელიზების, შუალედური მიზნების განსაზღვრის, შეფასების სისტემის ვალიდურობისა და მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერის პრაქტიკის შეფასებაზე, რაც იძლევა მომავალი სასწავლო წლისთვის მზაობის გაჩენის, წინარე ცოდნისა და გამოვლენილი გამოწვევების მომავალ საგნობრივ კურიკულუმში გამოყენების შესაძლებლობას. სკოლაში არსებობს თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესის დაკვირვების პრაქტიკა, რომლის ფარგლებში გამოიყენებული რუბრიკა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კონსტრუქტივიზმის პრინციპებისა და გლობალურ-ფუნქციური უნარების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შეფასების

საშუალებას წარმოადგენს. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრის შეფასება მიმართულია ძლიერი და გასავითარებელი მხარეების იდენტიფიცირებასა და განმავითარებელი შეფასების გაცემაზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ჩეკლისტი ემიზნება მოსწავლეთა დიაგნოსტირების, პედაგოგიური პრაქტიკის განვითარების, თანამშრომლობის, სასწავლო რესურსების ეფექტიანობის, შეფასების მრავალფეროვნებისა და ობიექტურობის საკითხებს, რაც სკოლას საშუალებას აძლევს დაგეგმოს გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრის საპასუხო მოქმედებები. მშობლების უკუკავშირის ზოგადი თუ საგნობრივი ფორმა არსებული მდგომარეობის აღწერის პარალელურად, საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სწავლა-სწავლების ადმინისტრაციულ თუ შემოქმედებით პროცესში არსებული გამოწვევები და დაიგეგმოს პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების გზები. სასკოლო პროექტის ფარგლებში მოსწავლის სოციო-ემოციური სფეროსა და აკადემიური ჩართულობის კითხვარის გამოყენების სკოლას ეხმარება მოსწავლის ინტერესებზე მორგებული სწავლის მეთოდების, არაფორმალური განათლების პროცესების, სასკოლო პროექტებისა და სადამრიგებლო პროგრამების დაგეგმვაში, სადაც გათვალისწინებული იქნება კონფლიქტების მართვისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარების კომპონენტი. სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს აქვს მოსწავლეთა სოციო-ემოციური და აკადემიური ჩართულობის კვლევის გამოცდილება, რაც ერთის მხრივ წარმოადგენს მიმდინარე სასწავლო წლის განვითარების საფუძველს, მეორეს მხრივ, სკოლის მზაობას, აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენოს სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, რათა სასკოლო პროექტები და სადამრიგებლო პროგრამები კიდევ უფრო მეტად ორიენტირდეს მოსწავლეთა ინტერესებზე. სკოლის მიერ შერჩეული მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების (აკადემიური მიღწევის ანალიზი, მშობელთა კითხვარი, მასწავლებელთა დაკვირვების ფორმები) ერთობლიობა ხელსუწყობს არსებული გამოწვევების აღმოჩენის, სასკოლო კურიკულუმის რევიზიისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესის მხარდაჭერას.

**რჩევა:** (1.) კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები); 2. მშობელთა კმაყოფილების კვლევის პროცესში, კითხვარი დაიყოს სასკოლო ცხოვრების შესაბამის სფეროებად (მაგ. სასწავლო პროცესი და მეთოდოლოგია, უსაფრთხოება და სასკოლო კლიმატი, უკუკავშირი და კომუნიკაცია) და გამოიყენოს ღია კითხვები, რათა მონიტორინგმა მეტად გამოავლინოს პრობლემის მოგვარების გზები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი და წარმოდგენილი პრაქტიკა მიმართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის გაძლიერებაზე. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება (დიაგნოსტიკური ანალიზი, განმავითარებელი შეფასება) წარმოადგენს მოსწავლის ინდივიდუალური მხარდაჭერის საფუძველს. მასწავლებლების საქმიანობის შეფასება (კათედრული პორტფოლიოების ანალიზი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მხარდამჭერთა ჯგუფის შეფასება) მიმართულია მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობისკენ. ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მასწავლებლის ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებითა და კონსტრუქციული რეკომენდაციების გაცემით, ორიენტირდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების (კონსტრუქტივიზმი, გლობალურ-ფუნქციური უნარები) უკეთ რეალიზების პროცესზე. კათედრებზე განიხილება ერთის მხრივ, დაგეგმილი საჩვენებელი გაკვეთილი, მეორე მხრივ, გაკვეთილის ჩატარების შემდეგ მასწავლებლის თვითშეფასება და დოკუმენტირებამდე, ზეპირსიტყვიერად ზიარდება შემფასებლის უკუკავშირი და რეკომენდაცია. მშობლების უკუკავშირის მექანიზმები (ზოგადი და საგნობრივი კითხვარები) სკოლას ეხმარება სასწავლო გარემოსა და ადმინისტრაციული პროცესების მშობელთა მოლოდინებთან თანხვედრაში. 2023-2024 სასწავლო წლეს სასკოლო პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა

მოსწავლეთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ხმა გადამწყვეტია სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის, რასაც სკოლის მცირე კონტინგენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივად ავსებს ყოველდღიური ზეპირსიტყვიერი უკუკავშირის პრაქტიკაც.

**რჩევა:** (1.) მოსწავლეთა სოციო-ემოციური სფეროს კვლევას მიეცეს სისტემური ხასიათი, სადაც კითხვარის ფორმატში აქცენტი გაკეთდება ღია კითხვებზე (თვითგამოხატვა, პოზიტიური გამოცდილება, ინიციატივები) და შედეგები აისახება სადამრიგებლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი
3. სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3 (19.06.2025)
4. დიაგნოსტიკური წერის ანალიზი XII კლასის ქიმიაში (2024-2025წწ.)
5. განმავითარებელი შეფასება XII კლასის ქიმიაში (2024-2025წწ.)
6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N3 (30.12.2025)
7. მშობელთა კმაყოფილების კითხვარის ფორმა
8. მშობელთა საგნობრივი შეფასების კითხვარის ფორმა
9. 2024-2025 კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ჩეკლისტი
10. ურთიერთდასწრების დოკუმენტაცია (მათემატიკა/19.12.2025)
11. საგნობრივი კურიკულუმის ანალიზები 2024-2025 (ქართული ენა და ლიტერატურა)
12. 2024-2025 სასწავლო წლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსთან ანგარიშის დოკუმენტი
13. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N2 და N3 (12.11.2025/30.12.2025)
14. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი
15. კურიკულუმის დანრგვის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი N1 (03.09.2025)
16. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის I სემესტრის დოკუმენტი
17. ლიხეთისა და ურავის საჯარო სკოლის მოსწავლეების სოციო-ემოციური უნარების გაუმჯობესება (2023-2024წწ).
18. დაწყებითი საფეხურის, ესთეტიური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N2 და N3 (11.11.2025/30.12.2025)
19. დაწყებითი და საბაზო საფეხურის გაკვეთილზე დასწრების ოქმები (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/10.12.2025, მათემატიკა/09.12.2025, გერმანული ენა/14.05.2025 )
20. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტაცია (ისტორია/17.12.2025; მათემატიკა/08/12/2025)

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განახლება ეფუძნება მთელი წლის განმავლობაში თავმოყრილ მონაცემებს, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების როლი და გამიზნულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. დოკუმენტის მიხედვით შეფასების პროცესი ეფუძნება მონიტორინგის სამ მიმართულებას - მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიულ და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით განსაზღვრულია - მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება, კომენტარი, მოსწავლის თვითშეფასება და მასწავლებლის თვითრეფლექსია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ფარავს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს. მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასებას, შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზს. სკოლის მცირე კონტინგენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ყოველდღიური ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია. სკოლა ეყრდნობა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ წარმოებულ დაკვირვებებს, მასწავლებლის თვითშეფასებას, საგნობრივი კურიკულუმებისა და მასწავლებლის/დამრიგებლის საქმიანობის ანალიზს, რაც ქმნის მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მრავალფეროვან ბაზას. ინსტიტუციურ დონეზე, შეფასების წყაროდ გვევლინება მშობელთა ორი სახის კითხვარი (ზოგადი და საგნობრივი), კურიკულუმის დანერგვის „ჩეკლისტი" და სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური შეფასების დოკუმენტაცია, რომლის შეფასება ხდება კურიკულუმის დანრგვის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. მოცემულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს.

**რჩევა:** (1.) სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევებისა და წინსვლის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრისაგან (მაგ. მოსწავლეები, მასწავლებლები).

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა მიღწევების შეფასება მიმდინარეობს დიაგნოსტიკურ წერების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა (ესე, პრეზენტაცია, პროექტი) და განმავითარებელი შეფასების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა, მოსწავლის წინარე ცოდნისა და ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინების შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების შეფასება ორიენტირებულია სასწავლო მიზნების რეალიზებასა და შეფასების სისტემის ვალიდურობის დადგენაზე. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება მრავალმხრივია და მოიცავს როგორც თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების (კონსტრუქტივიზმი, გლობალურ-ფუნქციური უნარები) გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია კათედრული პორტფოლიოებისა და საგნობრივი ანგარიშების წარმოების პრაქტიკა, რაც მასწავლებლის საქმიანობისს სისტემურ ჭრილში შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ხარისხის უზრუნველყოფა ხდება როგორც შიდა მექანიზმებით

(ბრძანება N3, 23.01.2025), ისე გარე უკუკავშირით. მშობელთა კმაყოფილების კვლევა (ზოგადი და საგნობრივი ფორმატებით) სკოლას საშუალებას აძლევს, შეაფასოს ადმინისტრაციული პროცესების, სწავლების მეთოდებისა და კომუნიკაციის ეფექტიანობა მშობლის პერსპექტივიდან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური მონიტორინგი კი უზრუნველყოფს სკოლის განვითარების დინამიკის მუდმივ კონტროლს. ზემოთ აღნიშნული პროცესების სასწავლო წლის განსხვავებულ პერიოდში მიმდინარეობა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეფასებისას სხვადასხვა კონტექტის გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. მოსწავლეთა მიღწევების შეფასების პროცესში გამოიყენება - ანკეტირება, გამოკითხვა, ანალიტიკური ესე, რეფერატი, ტესტირება, ექსპერიმენტი. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიმართულებით - ანკეტირება, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი. მშობელთა უკუკავშირის მისაღებად ანკეტირება და/ან გამოკითხვა. მოცემულის გათვალისწინებით კურიკულუმის შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და დამკვიდრებული პრაქტიკა პირდაპირ არის მიმართული სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დიაგნოსტირება და განმავითარებელი შეფასება ინდივიდუალური მხარდაჭერის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული მონაცემები სკოლას საშუალებას აძლევს, ოპერატიულად დაგეგმოს დამატებითი მეცადინეობები ან მოახდინოს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს კათედრულ პორტფოლიოებს, თვითშეფასებასა და ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფის დაკვირვებას, ორიენტირებულია პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების, კერძოდ, კონსტრუქტივიზმისა და გლობალური უნარების უკეთ რეალიზებაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებასა და განმავითარებელ რეკომენდაციებზე, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს მასწავლებლის მოტივაციასა და ავტონომიურობაზე. კათედრებზე დანერგილი საჩვენებელი გაკვეთილებისა და შემდგომი რეფლექსიის პრაქტიკა ხელს უწყობს ურთიერთსწავლებასა და გამოცდილების გაზიარებას. სასკოლო საზოგადოების ერთიანობასა და მხარდაჭერას განაპირობებს მშობელთა უკუკავშირის მექანიზმებიც. მცირე კონტინგენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფორმალურ

ინსტრუმენტებს ბუნებრივად ავსებს ყოველდღიური ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია, რაც ზრდის ნდობასა და ჩართულობას. სკოლის მიერ 2025 წელს განახლებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ადასტურებს სისტემურ მიდგომას, სადაც მონიტორინგი ემსახურება არა მხოლოდ ხარვეზების აღმოჩენას, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მხარდამჭერი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## დასტურდება (მტკიცებულებები):

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3 (19.06.2025)
3. მშობელთა კმაყოფილების კითხვარის ფორმა
4. მშობელთა საგნობრივი შეფასების კითხვარის ფორმა
5. განმავითარებელი შეფასება XII კლასის ქიმიაში (2024-2025წწ.)
6. საგნობრივი კურიკულუმის ანალიზები (2024-2025 წწ;)
7. მასწავლებლსი საგნობრივი ანგარიშები (2024-2025 წწ.; 2025-2026 წწ.)
8. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
9. ურთიერთდასწრების დოკუმენტაცია (მათემატიკა/19.12.2025)
10. 2024-2025 კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ჩეკლისტი
11. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი
12. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის I სემესტრის დოკუმენტი
13. 2024-2025 სასწავლო წლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსთან ანგარიშის დოკუმენტი
14. დაწყებითი საფეხურის, ესთეტიური აღზრდისა და სპორტის კათედრის პორტფოლიო 2025-2026
15. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N2 და N3 (12.11.2025/30.12.2025)
16. კურიკულუმის დანრგვის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი N1 (03.09.2025)
17. შემაჯამებელი წერისა და რუბრიკის ნიმუში (ფიზიკა X, ქიმია IX, XI, ბიოლოგიის VII, VIII,X კლასები)
18. დაწყებითი საფეხურის, ესთეტიური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N2 და N3 (11.11.2025/30.12.2025)
19. დაწყებითი და საბაზო საფეხურის გაკვეთილზე დასწრების ოქმები (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/10.12.2025, მათემატიკა/09.12.2025, გერმანული ენა/14.05.2025 )
20. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტაცია (ისტორია/17.12.2025; მათემატიკა/08.12.2025)
21. დიაგნოსტიკური წერის ანალიზის დოკუმენტი (გეოგრაფია VII, მათემატიკა V და VIII, გერამანული ენა IX, ქიმია XII)
22. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების IV და VI კლასის შემაჯამებელი წერის, შეფასების რუბრიკისა და მოსწავლის შესრულებული ნიმუში

## შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

○

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა მეორე სემესტრის დასაწყისში (4-5 მარტი), რის გამოც მიმდინარე წლის სარეკომენდაციო პაკეტის გაცნობა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, სკოლამ წარმოადგინა მიგნებების განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციებად გარდაქმნის პოტენციალი. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტით განსაზღვრულია ყოველი სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებზე თანამშრომლობითი საქმიანობისა და დირექციის საკოორდინაციო საქმიანობის შეფასების საფუძველზე, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლას აქვს სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციათა პაკეტის შექმნის შესაძლებლობა. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა ეფექტურად იყენებს სხვადასხვა რგოლიდან მიღებულ ინფორმაციას კურიკულუმის დასახვეწად. ამის მაგალითია გასული წლის პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ანგარიშებში იდენტიფიცირებული განმავითარებელი შეფასებისა და არაფორმალური განათლების პრაქტიკის ხელშეწყობის საჭიროება. სკოლამ მოახდინა ამ საჭიროებების რეალიზება — შეფასების ახალი მოდელის დანერგვით, რომელიც ორიენტირებულია ნიშნებზე დამოკიდებულების შემცირებასა და მოსწავლის ავტონომიურობის გაზრდაზე. პარალელურად, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და ინტერესების გათვალისწინებით,

ჩამოყალიბდა ლიტერატურული კლუბი. გარდა ამისა, დირექტორის ანგარიში ასახავს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე. მათ საფუძველზე, მიმდინარე წელს დაიგეგმა და ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. ვიზიტის პერიოდშივე დაკვირვებადი გახდა გუნდური მუშაობის გამოცდილება, როდესაც საგნობრივი ექსპერტებისაგან გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მასწავლებლებმა ურთიერთდახმარებით გაასწორეს და ვიზიტის პერიოდშივე წარმოადგინეს დოკუმენტაციის ახალი ვერსიები. ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

**რჩევა**: (1.) მისთვის მისაღები ფორმით, შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლიც დაეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრაქტიკას, შიდა წარმატებულ გამოცდილებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ ყოველწლიურად განახლებად სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი გამოწვევების შესწავლის საფუძველზე. მოსწავლეების აკადემიური მიღწევის ანალიზისა და ჩატარებული გაკვეთილების შეფასების დოკუმენტაციაში იკითხება რეკომენდაციები (მაგ. მოსწავლეთა ურთიერთშეფასების, განმავითარებელი შეფასებისა და ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე). ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა და კათედრების წარმომადგენელთა შეხვედრებზე (online ჩართვის დროს) დადასტურდა მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნისათვის წინარე გამოცდილების გათვალისწინების მზაობა (ამას განამტკიცებს ვიზიტის პერიოდში დაკვირვებისას დანახული გუნდური მუშაობის პრაქტიკა). ამასთან ერთად შესაძლებელია მხედველობაში მივიღოთ, გასული წლის ანგარიშებში იდენტიფიცირებული საჭიროებების რეალიზების პრაქტიკა: განმავითარებელი შეფასების ახალი მოდელის დანერგვა, მოსწავლეთა ინიციატივით „ლიტერატურული კლუბის“ ჩამოყალიბება და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციით ჯანსაღი ცხოვრების წესისა და უსაფრთხოების საკითხებზე მშობლებთან და მოსწავლეებთან დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრები. აღსანიშნავია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ, კონკრეტულ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ინდივიდუალური და გუნდური სათამაშო სახეობების დატვირთვის განსაზღვრა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასესების ამსახველი დოკუმენტაციისა და სკოლის დირექციის მხრიდან რეკომენდაციათა შესრულების არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 (IV, VI, IX კლასი)
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (08.09.2025)
4. სკოლის სოციალური (FACEBOOK) ვებ-გვერდი
5. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 დაN6 (25.06.2025/08.09.2025)
6. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ დირექტორის ანგარიში (2023-2024 წწ.)
7. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| ***დაწყებითი საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***საბაზო საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***საშუალო საფეხურის*** *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................

თარიღი **14 აპრილი 2026 წელი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 

 

 

 



